ვა ტვრეფ

სევდის კრებული

(ანუ პატიმარი მსახიობის აღსარება)

თბილისი
1998

ძვირფასო მკითხველო!

გავკადნიერდები და ორი სიტყვით მოგახსენებთ ამ კრებულის გამოცემასთან და სახელწოდებასთან დაკავშირებულ ამბავს.

1985 წლის 19 მარტამდე ჩემი ძმის, გია ფერაძის ნაცნობ-მეგობრებმა და თაყვანისმცემლებმა კარგად იციან მისი ცხოვრების ყოველი ნაბიჯი... მაგრამ იმ საბედისწერო, ტრაგიკული დღის მერე, როდესაც ფატალურმა შემთხვევამ ბედნიერების მწვერვალზე მყოფი გია, დიდი ხნით საპყრობილეების ბინადარი გახადა, ბევრმა არ იცის თუ რა ტრიალებდა მის სულში და რა ჯოჯოხეთი გამოიარა.

ამაზე კარგად მეტყველებს მისი ლექსები, რომლებიც სსრ კავშირის სხვადასხვა ციხეებში და ციხიდან ციხემდე ეტაპებშია დაწერილი. 30-მდე სქელტანიანი რვეული დაგროვდა 7 წლის პატიმრობის განმავლობაში, რომლებიც ციხეში პაემანის შემდეგ ჩამომქონდა: ვლადიმირიდან (მოსკოვის ოლქი), შუშადან (აზერბაიჯანი), იაკუტსკიდან (ციმბირი), მახაჩკალიდან (დაღესტანი), ხონიდან, რუსთავიდან, თბილისის საპყრობილედან. ამ კრებულში მათი მხოლოდ მცირედი ნაწილია დასტამბული.

მის ლექსებს მოუთმენლად ელოდნენ მისი მეგობრები და ყველაზე მეტად კი დედა - თინა ჟორჟოლიანი, რომლის ნატვრაც იყო ამ კრებულის გამოცემა და რომელსაც იგი სამწუხაროდ ვერ მოესწრო.

მამა (ბიძინა ფერაძე) ადრე გარდაგვეცვალა. გიამ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ვერ შეძლო გადატანილი უბედურების მორევა და 47 წლის ასაკში ფაქტიურად მოისწრაფა სიცოცხლე. დედა, გიას გარდაცვალების შემდეგ აღარ ამდგარა საწოლიდან და წელიწადნახევარში, შვილზე ლოცვა კურთხევით შეუერთდა მას.

მე კი დამრჩა გიას დანაბარები, რომელიც მისი ლექსების ერთ-ერთი რვეულის ყდაზე მიმიწერა:

თუ ჩემ ცხოვრებას
წიგნად აკინძავ,
დაარქვი იმას
სევდის კრებული...

სწორედ ამიტომ ჰქვია ამ წიგნს "სევდის კრებული", რომლის გამოცემასაც დიდი გულისტკივილით ვუძღვნი ჩვენი მშობლების ნათელ ხსოვნას.

მწამს, რომ ასეთი იქნებოდა გიას სურვილიც!

უფლება არა მაქვს დიდი მადლობა არ ვუთხრა ჩემს მეგობარს, შესანიშნავ პიროვნებას - თამაზ ტყემალაძეს, რომელმაც აარჩია ლექსები ამ კრებულისათვის და იტვირთა ლექსების რედაქტორობა.

მადლობა, გიას მეგობარს - მხატვარ მალხაზ კუხაშვილს, რომელმაც ციხის რვეულებიდან ამოკრიფა გიას ნახატები და გააფორმა წიგნის გვერდები.

ასეთივე მადლიერი ვარ ჩემი მეგობრის თამარ გოდერძიშვილის, აგრეთვე მაია ყანჩელის, რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს წიგნის მომზადებაში.

მადლობა ყველას, ვისაც ახსოვს გია ფერაძე.

ილია ფერაძე

თბილისი 1998 წელი
18 მარტი!

თბილისმა იცოდა ასე...

ათას მოხდენილ და ელასტიკური გონების ყმაწვილ კაცში ერთს განსაკუთრებით გამოარჩევდა და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოაქცევდა. მერე ყოველდღე ახალ-ახალი ჭორ-მართალი ვრცელდებოდა: ამან ასე იხუმრა, ასეთი სიტყვა თქვა, ასეთი ცირკი მოაწყოო. ეს პოპულარული და მოხდენილი ყმაწვილები საბოლოოდ ბახუსის მორევში რჩებოდნენ და ძალზე ადრე ამთავრებდნენ თავიანთ "გამორჩეულ" ცხოვრების გზას.

ასეთი გახლდათ 70-იან წლებიდან ყველა თბილისელისათვის კარგად ცნობილი გია ფერაძე!

ოჯახი ასეთი ჰქონდა: დედა - ახლახან გარდაცვლილი ქალბატონი თინა ჟორჟოლიანი ცნობილი ქართველი მსახიობის, ალექსანდრე ჟორჟოლიანის ძმის შვილი, თვითონაც მშვენიერი იუმორისტი - ქალი.

მამა - ბიძინა ფერაძე. ცნობილი პედაგოგი, განათლების დამსახურებული მუშაკი. 30 წელზე მეტი გავიდა მისი გარდაცვალებიდან და დღესაც, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი გაკვეთილი ან დასწრებია მისი თამადობით ჩატარებულ სუფრას, დიდი სიყვარულით იხსენებენ მის არაჩვეულებრივ პედაგოგიურ და ვაჟკაცურ ნიჭს. იგი სკოლაში ინგლისურს ასწავლიდა და ამასთან ერთად ყველასთვის იყო კაცობის და კაცთმოყვარეობის ნათელი მაგალითი. ბევრმა არც კი იცის, რომ ბატონი ბიძინა გახლავთ ავტორი თბილისის ყველა დროის ყველაზე პოპულარული სიმღერისა "ყვავილების ქვეყანა".

ძმა - ილია ფერაძე. ინჟინერი. სპორტზე და მეგობრებზე შეყვარებული კაცი.

დიახ, ოჯახი წიგნიერი, ლაღი იუმორით მადლცხებული,

სტუმართმოყვარე.

გიას პოპულარულობას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ იშვიათი გარეგნობის ყმაწვილი თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეობიდანვე გახდა ქართული ფილმების გმირი. მერე კი თეატრალური ინსტიტუტი, რომელსაც სახელოვან რუსთაველის თეატრის დასში მიღება მოჰყვა და მსოფლიოს დიდი ქალაქების გასტროლებით შემოვლა. აქაც ათასი ფათერაკი, ათასი კომიკური ისტორია...

გია ფერაძე თბილისის იშვიათ კოლორიტად იქცა, რაც ასე ახალგაზრდას მანამდე ერთ-ორს თუ ღირსებია. თბილისში მისი მოძრაობის სქემა ძალზე პატარა იყო, მაგრამ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცეული: ვერა-რუსთაველი-ვერა!

ვერაზე დაიბადა, ვერაზე დაამთავრა სკოლა და მეგობართა უმრავლესობაც ვერელები ჰყავდა. დიდხანს თამაშობდა ფეხბურთს ვერის უბნის გუნდში. მერე, როდესაც ყრუ დილეგში ერთ-ადერთ შვებად ლექსის წერა ექცა, უნებურად ვერა გახდა მისი ხან ბავშვური და ხანაც ჭეშმარიტი პოეზიის მადლით აღსავსე ლექსების მთავარი ხატი. ძალზე ბევრ ლექსში შეხვდებით თბილისის ამ გამორჩეულ უბანს. ძველ თუ ახალ ვერელებს. ყველაზე პოპულარული კი გახლავთ რუსუდან სეფისკვერაძის და გოგი დოლიძის ნიჭიერებით დამშვენებული გიას "ვერა".

თბილისში ყველა პატარა უბანს,
თავისი წილი უნდა სიმღერა,
მარტო თბილისში თუ შეიძლება,
იყოს უბანი, იყოს უბანი
და ერქვას "ვერა".

ვერაზე ჩემმა ლაღმა ბავშვობამ
გადაიქროლა და ახლაც მიჰქრის,
ვერაა ჩემი სულის სიმშვიდე
ვერაზე არის, ვერაზე არის
ადგილი ფიქრის.

ფიქრის გორაზე შევდგები ისევ,
არ მომწყინდება შენზე სიმღერა.

ამ ზღაპრულ უბანს ვერელი კაცი
ვერა ვერ დათმობს, ვერა და ვერა...

თბილისში ყველა პატარა უბანს,
თავისი წილი უნდა სიმღერა,
მარტო თბილისში თუ შეიძლება,
იყოს უბანი, იყოს უბანი
და ერქვას "ვერა".

გია ფერაძემ 40-მდე ფილმში ითამაშა. ყველგან როლის სიდიდის მიუხედავად მკაფიო, დაუვიწყარი სახე შექმნა. მაშინაც კი, როდესაც მისი ნათქვამის ბევრი აღარა სჯეროდათ, იგი უშუალობით და გულწრფელობით ასახიერებდა როლებს და ეს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ძალზე ბუნებრივად ხდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კინორეჟისორ დიმა ბათიაშვილის ფილმში "არასერიოზულ კაცში" ნათამაშევი მთავარი გმირის, ნიკოს ნაღდი თბილისური ტიპი - ალალი და მართალი. გზააბნეული და უნებისყოფო, სულ მოუსვენარი. ფილმის გმირის ტრაგიკული ბედი თითქმის მიესადაგა გიასას. ამ ფილმში ნაბახუსევი, წვერგაუპარსავი სულ რაღაცის მაძიებელი, ყველასთვის ცნობილი და შინაურად გამხდარი გია თითქოს ნიკოს კი არა - თავის თავს, გია ფერაძეს განასახიერებს. შემდეგი იყო მძაფრი, დრამატული როლი, რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმში "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" რომლის ეკრანზე გამოსვლას ვეღარ შეესწრო... გაუთვალისწინებელმა სავალალო ქმედებამ ტრაგედიის მორევში ჩაძირა იგი. მაშინ ის იყო გონების თვალს ახელდა მისი შვილი პატარა მარიკა, რომელმაც ამ ტრაგედიით დედაც დაკარგა და მამაც!

გია ციხის ბინადარი გახდა...

ამის შემდეგ თეატრისა და კინოს პოპულარულ მსახიობს 7 წელიწადი მოქალაქეობის პატივი აქვს აყრილი. მომხდარი საშინელებით მორალურად განადგურებულს, ფიზიკური განადგურებაც მიესაჯა.

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე ცრემლით და ნაღველით ნაწერი მისი ლექსები სწორედ უსასოდქმნილის მოთქმით გვიამბობენ თეატრალური საზოგადოებიდან, მშვენიერი

სამეგობროდან ციხის ჯურღმულში მოხვედრილი კაცის ენით უთქმელ გასაჭირზე; ტირილით გვიამბობენ გიას და ირინას უიღბლო სიყვარულზე და... ხშირად მოდის უბედური ახალგაზრდა ქალის ცისფერი ლანდის ჩვენებაც, რაც ტუსაღის მხოლოდ უსაზღვრო ტანჯვას იწვევს. იგი გრძნობს თავის უნებლიე დანაშაულის დაუძლეველ სიმძიმეს და მხოლოდ თავის სიკვდილში ხედავს შვებას. იგი შვებას მაშინაც გრძნობს, როდესაც ბავშვურად გამოხატავს დედის მონატრებას. იმდენია ასეთი ლექსი, იმდენს ელაპარაკება სიცივის თუ სიცხის ხორშაკით შეჭირვებული პატიმარი დედას, რომ გეგონებათ მასთან ერთად იხდიდა მძიმე სასჯელს თინა ჟორჟოლიანიც - და ეს ასეც გახლდათ.

კითხულობ ციხის ლექსებს და შენც ამ მყრალი კარცერის თუ ჩახუთული საერთო საკნის ბინადარი ხდები. თითქოს შენც ჭლექით შეჭმული ფილტვებით სუნთქავ ათასი ზინთით გაჯერებულ ჰაერს. შენც ასე გტანჯავს უმზეობა, ზაფხულში დამდაგველი სიცხე, ზამთარში კი ნესტი და ყინვა. ტრამალის ქარი დაგყმუის თავზე და ციხის დაჟანგებულ თუნუქის სახურავს ახმაურებს. თითქოს შენც ღია ცაში ლაღად მფრინავი ჩიტები და შორს მოციმციმე თბილისი გელანდება. დრო და დრო შენც აქოთებულ "ეტაპზე" გსვამენ, გამცილებელთა მხოლოდ ხმები ისმის და იწყება თვეობით რკინის რელსებზე მოჯაყჯაყე მოძრავი ციხის ენით აუწერელი ტანჯვა. ასე გადის წლები და ჭლექით სნეული პატიმარი შველას ითხოვს... იგრძნობა, რომ მან ბევრჯერ განიცადა უკვე სულიერი კვდომა. ხორციელად კი თავის მიწაწყალზე თავის თბილისში სურს სიკვდილს შეხვდეს და არა ამ უსახურ ციმბირის ტრამალებში.

გია ფერაძეს ციხის ბინადრობამდე ორიოდე ლექსი ჰქონდა დაწერილი. მრავალი ოჯახი დღესაც ინახავს წვეულების დროს ხელსახოცებზე და ფურცლის ნაგლეჯებზე დაწერილ სხარტულებს. ზოგს მღეროდნენ კიდეც და როდესაც ღვთის რისხვა დაატყდა თავს და როდესაც მისი მოხეტიალე სული, დაუდგრომელი სხეული, რკინა-ბეტონის ოთხ კედელში გამოიკეტა, სხვა რა ექნა... ციხის სამყარო გიას ლექსებში რამდენიმე, მაგრამ დიდი შთაბეჭდილების მომხდენი ლექსითაა წარმოდგენილი. დრო და დრო ფრანსუა ვიიონისებური სარკაზმებითაც. (სამწუხაროდ, ასე მშვენივრად გადმოქართულებული ეს წიგნი

მისთვის უცნობია.) - ციხე თავისი მუდმივი ბინადრებით ქურდებით, ბანდიტებით, შემთხვევითი ტიპებით, მამათმავლებით, "ჩამშვებებით". ამგვარ ფონზე უსათუოდ განწმენდის, სულიერი კათარზისის მომნიჭებელი ფუნქცია ეკისრება შვილებზე დაწერილ უამრავ ლექსს და განსაკუთრებით კი ობლადშთენილ პატარა მარიკაზე. პატიმარი მამა აღსარებას ეუბნება შვილს, რომ მას ძალიან უყვარდა მარიკას დედა, რომ რაც მოხდა ეს დემონის აღზევება იყო, რომ მამა მკვლელი კი არა, საწუთრის წიხლით გათელილი კაცია. და ითხოვს, რომ სამართალი მხოლოდ და მხოლოდ მან დაადგინოს. 9 აპრილის ტრაგედიას იაკუტიის ციხეში გაიგებს და მერე მრავალ ლექსში მოთქვამს პატიმარი და ოცნებობს, ისიც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მოკლან.

სახვადასხვა ციხეებში სასჯელის მოხდისას გია ფერაძეს ასობით ლექსი დაუწერია. უთარგმნია ესენინის ლექსები... რომელთა ნაწილი ჰრიმიტიულია, ბავშვურიც კი. მაგრამ მაინც ყველგან ჩანს სტრიქონი სადაც ასევე მარტივი პოეტური ხატი თუ ნათელი ესთეთიკური მოდელი მიგიზიდავს. თავს დაგამახსოვრებს. უცებ ჩნდება სულ სხვა განზომილების ლექსები: მოქნილი, სრულყოფილი რითმით, შინაგანი მუსიკით, მძაფრი პოეტური სახეებით. უნებურად დაგებადებათ აზრი, რომ ეს არათანაბარი, უთანასწორო ქაოსური ლექსებიც მის უიღბლო პატრონს ჰგავს. ვერც ეს ლექსები თავსდებიან ერთ ჩარჩოში. მკითხველის შეხედულებაც არათანაბარი იქნება, მაგრამ ვერავინ აუვლის გვერდს ერთ ჯერს - ეს არის ნამდვილად ნიჭიერებით მადლცხებული, ვარამით გულგამოხრული კაცის ლექსები!

გიას ლექსების უმრავლესობა მისივე ნახატებით ბოლოვდება. უბრალო პასტით პირდაპირ ლექსის ფურცელზე მოხატული სხვადასხვაგვარად აღსაქმელი პასაჟები: მარიკა, ყვავილები, საჰაერო ბუშტები, ეკლესია, მაცხოვარი, ღვთისმშობელი (ვისაც სულ ევედრება... ვისაც თხოვს შველას). უფრო მეტია კოშმარული ჩვენებები, დემონური სახეები, წვალება, ტანჯვა, უცებ საფლავი, ასე უცნაურად მშვიდი და მიმზიდველი... გია ხატავს თეატრალურ ნიღბებს, როგორც მონატრებას, როგორც დაუკმაყოფილებელ სურვილს, რომელიც სამუდამოდ განშორდა, სამუდამოდ ჩაიძირა ადრე დამდგარ ღამეში. ხატავს, კლოუნებს,

არლეკინოს, პიეროს და საკუთარ თავს ადარებს მათ ტრაგიკულ ბუნებას.

საინტერესოა სასჯელის მოხდის შემდეგ დაწერილი ორიოდ ლექსიც. განსაკუთრებით კი სულ ბოლო, სადაც ტრაგიკული, "არასერიოზული კაცის" აღსარების ხმა ისმის და ჩვენთვის საცნაური ხდება რომ... აღარ ისურვა გია ფერაძემ სიცოცხლე "რომ ეს სიკვდილი ძალით მოიახლოვა".

იმედი გვაქვს, პოეზიის მცოდნე და მოყვარული ქართველი მკითხველისა! უნდა გავითავისოთ ამ უბედური და ნიჭიერი კაცის სევდა და ვარამი, ახლა მაინც გავუგოთ, შევეწიოთ და გვერდით დავუდგეთ პატარა წიგნში მოთავსებულ გიას ფიქრებს, გიას ცრემლს, გიას...!

თამაზ ტყემალაძე
რედაქტორ-შემდგენელი
1998წ.
თბილისი

ჩემს მეგობრებს!

მე სიკეთის ძმებო, აღარ მჯერა,
სულით ცეცხლი ნელა-ნელა ქრება...
თქვენი თბილი, უღალატო მზერა,
რომ იცოდეთ, როგორ მენატრება!

ზამბახი ვარ, ცივ ჯურღმულში რგული,
ჰა, ყვავილიც ყინვისაგან ზრება;
თქვენი თბილი, უღალატო გული
რომ იცოდეთ, როგორ მენატრება!

თვალს ვხუჭავ და წარმოგიდგენთ ერთად,
მერე ვბორგავ, სულში დარდებს ვიტევ.
ძმობის მადლი ხომ დავსახეთ ღმერთად,
მადლობთ! იმ ღმერთს რომ მსახურობთ ისევ.

ერთად ხართ და მადღეგრძელებთ, ვიცი,
მერე ცრემლებს თქვენც კაცურად მალავთ
მალამოა ჩვენი ძმობის ფიცი,
და იგია, რომ მანიჭებს ძალას.

თქვენ თბილისს და თბილისი თქვენ გშვენით,
თქვენც ამგვარად - საქართველოს მთებო;
სულ იცოცხლეთ, სულ იყავით ლხინით,
ილოს შემდეგ, ჩემო ნაღდო ძმებო!

ვერა!

თბილისში ყველა პატარა უბანს,
თავისი წილი უნდა სიმღერა,
მარტო თბილისში თუ შეიძლება,
იყოს უბანი, იყოს უბანი
და ერქვას ვერა.

ვერაზე ჩემმა ლაღმა ბავშვობამ,
გადაიქროლა და ახლაც მიჰქრის,
ვერაა ჩვენი სულის სიმშვიდე,
ვერაზე, არის, ვერაზე არის,
ადგილი ფიქრის.

ფიქრის გორაზე დავდგები ჩემთვის,
არ მომბეზრდება შენზე სიმღერა,
ამ ზღაპრულ უბანს, ვერელი კაცი,
სხვაზე ვერ გაცვლის, ვერა და ვერა.

თბილისში ყველა პატარა უბანს,
თავისი წილი, უნდა სიმღერა,
მარტო თბილისში თუ შეიძლება,
იყოს უბანი, იყოს უბანი,
და ერქვას ვერა.

გაზაფხულდა, ცა კაშკაშებს
გაიკვირტა აკაცია,
ჩაბნელებულ კამერაში
ჩამწყვდეული რვა კაცია.
ზოგს ეხება შეწყალება,
ბევრმა წერა კასაცია,
დარდმა, ფიქრმა, ტანჯვა-ხვეწნამ
ბევრის გული გააცია,
ჩაბნელებულ კამერაში
ჩამწყვდეული რვა კაცია,
გარეთ უკვე მზის სხივებმა
გადაშალა აკაცია
რვა კაცი წევს "კოიკაზე"
და ჭერს უცქერს ყველას თვალი,
ყველას თავის გასაჭირი.
საფიქრალი, საფიქრალი...

გარეთ შხაპუნა წვიმაა

გარეთ შხაპუნა წვიმაა,
არა ჩანს, მხოლოდ ხმა ისმის.
ჯერ ყველაფერი წინაა,
თვრამეტი არის მაისის.

აჰა, ორი თვე გასულა,
უნდო და სისხლის მწოველი,
გაწყდა კავშირი წარსულთან
აწ უკვე სიკვდილს მოველი.

წვიმავ, ნუ მეალერსები,
სულის წლკოტი გადახმა.
მალე რკინიგზის რელსები,
წამიყვანს ცხრა მთის გადაღმა.



ყაყაჩო

ჩემსავით მარტო, მოწყენით,
ჩემსავით განმარტოებით,
ციხის კედლებშიც იზრდება
წითელი ყაყაჩოები.

შორიდან ჩუმი ალერსით,
სარკმლიდან ფრთხილად
ვდარაჯობ.
ალბად ცოტა აქვს მისჯილი
ამ ჩვენი ზონის ყაყაჩოს.

სხვაობა იცით რაშია!
და განსხვავება რა არის?
პატიმარ ყაყაჩოს ზემოთ
ვეებერთელა ცა არის,

მე კი, რამდენი ხანია,
ვარამს ჩემს გულში ვინახავ.
არც მზე და არც ვარსკვლავები,
წლებია რაც არ მინახავს.

მე და ყაყაჩო ერთნი ვართ,
სიკეთისაკენ მარები.
ორივე ცოდვის შვილი და
ორივე პატიმარები...

თბილისის ციხე.
გაზაფხული.

ობობა

ცხოვრობს საკანში ჩემს თავზე,
ობობა შრავალფეხება,
ქსოვს და ქსოვს ბადეხლართებს და
სულიერს სულ არ ეხება.
ციცქნა ბუზი რომ ბუზია,
ისიც არ დაუჭერია,
არავის ცოდვა არ აწვევს,
ის ჩემზე ბედნიერია.
- ობობა, ქსოვე ფიქრები
როდესაც მარტო ვიქნები!..
შენისთანები ამ ქვეყნად
დარჩნენ ძალიან ცოტანი,
შენა ხარ სიხარულის და
ბედნიერების მომტანი.
მე ახლა უკვე ციხის და
მისი კედლების მკვიდრი ვარ
როგორც შენ ძაფზე, ისე მეც,
ყველას ფეხებზე ვკიდივარ.
მიკვირს, რატომ არ ისვენებ?!
რომ ქსოვ, ყინვა თუ სიცხეში!
ციხეში ცხოვრობ და შენს თავს
რატომ სვამ კიდევ ციხეში?
ახლა გავიგე სიმწარე,
თუ რა ყოფილა ობლობა,
ორივე პატიმრები ვართ,
მსჯავრდადებულო ობობა.
- ობობა ქსოვე ფიქრები
როდესაც მარტო ვიქნებით!..

... ეჰ... ეჰ... დრონი!

მე თუ დაგშორდით ჩემო შვილებო,
ჩემო სოფიკო, მაკა, ბიძინა,
თქვენმა მამიკომ კი არ დაგტოვათ,
თქვენს ფიქრში მწარედ ჩამოიძინა.

აბა თქვენ იცით ჩემო ოჯახო,
ჩემო ძმაო და ჩემო დედიკო,
უკვე ვატყობდი, დაჭერის მერე
რომ ჩემი საქმე კარგად ვერ იყო.

გემშვიდობებით შვილებო, დედავ,
რაზე ჩამიდგა ნეტავ დრო ჯინში,
კარგად იყავით იბედნიერეთ
თუ ცოცხალი ვარ, დიდი ბოდიში.

ჩემი ცხოვრება შენთან!

ჩემი ცხოვრება შენთან
დიდი ჩამქრალი ძეხ არის,
დღეს შენი დაბადების და
ჩემი სიკვდილის დღე არის.
დღეს განწყობა მაქვს ისეთი,
მინდა რომ შენზე ვილოცო,
ეს შენი დაბადების დღე
სადა ხარ, სად ძოგილოცო?!
უნდა დაფიქრდე რომ საქმე,
სატირლად არ გაიხადო,
ნეტავ შენს გვერდში მამყოფა,
დღეობა გადაგიხადო.
დღეს ჩემი გული არ ფეთქავს
გაქვავებული ხე არის,
დღეს შენი დაბადების და
ჩემი სიკვდილის დღე არის.



რა ბედნიერი ვიყავი წუხელ...
აზრი არა აქვს... არავის ვუმხელ
რა ბედნიერი გამხადე ღმერთო,
სიონში ვიყავ, იქ იყო ყველა;
ჩემი სანთელი "ჯვარცმასთან" ენთო,
როგორც სიმბოლო "დახსნა" და "შველა".
იყო ზაფხულის ღია სარკმელი,
სანთლები ლოცვის ხვატით დნებოდა,
ტაძარში-სუნი, წმინდა საკმევლის,
გარეთ კი ძმები მელოდებოდა.
ისმოდა ძველის ძველი გალობა,
ერთად შემკული ვით თაიგული
და ზეციერის დიდი წყალობა,
სიყვარულისგან სკდებოდა გული.
იქ იყავ შენაც, გეცვა ცისფერი,
და ცის ასულის გქონდა იერი,
გაოცებული დიდხანს გიცქერდი,
რა კარგი იყავ, რა მშვენიერი...
მერე გაწვიმდა... თბილისის წვიმა...
და ნიაღვარმა ლამის წამიღო.
რა ბედნიერი ვიყავით წინათ...
ეს ყველაფერი ხომ მართლა იყო...

ციხე

ნარი გასაწური არი,
საშინელი შარდის სუნი...
თავზე მადგას მუნიანი
ვიღაც რუსის მაიმუნი.

რაღაც რომ არ მოეწონოს,
თვალებს ცემით დაგიღამებს.
რა თქმა უნდა, არ გეგონოთ,
ქვეყნად ვინმე ეტყვის რამეს.

ეს "ბატონი", ჩვენ კი მონა,
განუკითხაობა მიკვირს.
ღმერთო, მე ხომ ამის წონად
ნეკის ფეჩხილიც კი არ მიღირს.

"შენი დედა, შენი მამა"
ისმის ჩვენი "ხოტბის" შესხმა;
უნდა ჩვენი ხორცის ჭამა,
უნდა ჩვენი სისხლის შესმა.

ალბათ ბედად ეს მეწერა,
მე უნებურ დამნაშავეს.
მაიმუნის ვხდები წერა,
ამის ტყვიით წავალ შავეთს.

მონოლოგი

გაშრა ცრემლი მომლოდინე შვებისა
და თბილისის ნახვის მაღრჩობს წყურვილი
მე ვყოფილვარ ვაცი, განტევებისა
ეს დემონის ალბათ იყო სურვილი.

ასოცი დღე მატარებლით წამება
მსგავსი ტანჯვა არავის არ ენახოს,
სიმღერა მსურს, მაგრამ ენა დამება
სიმღერა მსურს "ვაიმე, ჩემო ვენახო".

ჰა "პაკროვი" - კროვი იცით რაც არი...
ნოემბერში ყინვით გვძვრება ყურები
ვაიმე ტურფა, თავს დამენგრა ტაძარი
ბროლის ქვებით, ფირუზის აგურებით.

რა შორს დარჩა თბილისის ცის ზეფირი
თითქოს ფრთებით გადაფარეს ქორებმა
რა ახლოა "მახორკა" და "ჩეფირი"
პურის ცომის კამათლების გორება.

და ხველება, და სიკვდილის ლოდინი
ვინ დაითვლის პატიმართა კილო-კავს
სველი არის ჭუჭყიანი ლოგინი
კედლის ხვრელში ვირთხა ენას ილოკავს.

კვლავ ვწუწუნებ? არაფერსაც, არც არას...
თუმც ვერ ვიტყვი: დარდი არ მეკარება!
მე პიეროს, არლეკინოს, მასხარას,
რა ვქნა, მიჭირს ბორკილების ტარება.

გამომიშვით! ჩასაქოლი ქვებითა
ჭლექი მაღრჩობს, ფეხზე ვდგები, ვეცემი
სულ მარხვით და სულ სხეულის გვემითა
სადმე ცოდვილ ბერად აღვიკვეცები.

ყველაფერი დავიწყებას ეძლევა,
მახსოვს ქუჩის ის მყუდრო შესახვევი.
მოგიძღვენი ერთხელ ლურჯი ენძელა,
შენ მომიძღვენ კოცნა - თავბრუდამხვევი.

ყველაფერი მტვერია და ნაცარი,
წარსულ ტრფობის აღარ მინდა გამხელა.
ახლა აქ ვარ... როგორ არი... რაც არი...
ბედმა ლეკის ნაბადივით გამთელა.

რა ვქნა კარგო, ვერ გივიწყებ სრულიად,
აი, ციხე! სიმყრალე და სიცივე.
შენი სახე ახლა ხომ წარსულია?
მე ფიქრიდან ვერა, ვერ მოვიცილე...



რამდენი ლექსი უნდა დავწერო

რამდენი ლექსი უნდა დავწერო,
ანდა მოთხრობა, გაუთავებლად,
არ იყოს იგი ჩემს სატანჯველად,
არ გახდეს იგი ჩემს საწამებლად.
მთელი ცრემლები, მთელი ნაღველი,
ამოშრა უკვე, მეტი არ არის,
ამდენი ფიქრი, მოგონებები,
ხომ აქვს ყველაფერს, თავის საზღვარი.
სიზმარში ვხედავ, რომ ფაეტონით,
იებით ნაქარგ სახლში მიმყავხარ,
ნუთუ ისევე, თვალწინ მიდგახარ
ნუთუ ისევე ისე მიყვარხარ?
რა გასართობი არ მოვიგონე,
ვერ დამავიწყა შენი სახელი.
სულ მელანდები, სულ ჩემთანა ხარ,
თვალებდახუჭულს, თვალებახელილს.
მხოლოდ შენ იცი, ყველაზე კარგად,
როგორ დაიმსხვრა ირგვლივ ყოველი.
დღეები დღეებს ზოზინით ცვლიან,
შხამით სავსე და სევდის მთოველი.

ვედრება!

ღვთისმშობელო, გევედრები,
შეისმინო მხოლოდ ერთხელ.
გაძიჩუმე ჩემი მტრები,
ჩემს დასაღრჩობ თოკს რომ გრეხენ.

თვითონ მომკლავს ჩემი ცოდვა,
ეს დღეც არ იქნება შორი.
მე გთხოვ, შეაჩერონ ბოდვა,
მე გთხოვ, შეაჩერონ ჭორი.

შენ ხომ იცი წმინდა დედავ,
სიყვარულის გვედგა ტახტი.
ვედრებასაც მუდამ ვბედავ,
თუმცა სალანძღავი გავხდი.

კედლებიდან ჟონავს წყალი
გაუძლისი არის სიცხე
ვა, სად მოვხვდი მე საწყალი,
სად გია და სად ეს ციხე!

ყველამ იცის...

ყველამ იცის ვინ ვარ, რა ვარ,
გახრდილი ვარ ვერაზეო,
ცოდვა მაწევს ასი ფუთი
ვტირი ბედისწერაზეო.
ამ ცოდვიან როლისათვის
ამირჩიეთ მე რაზეო?
ამ როლზე ვინ მიმიწვია,
მე - არტისტი ფერაძეო.
ახლა ვტირი. წინათ გახსოვთ
ვგიჟდებოდი მღერაზეო,
სახუმარო, სალაღობო,
სიტყვა მეჯდა ენაზეო.
სულ ვჩქარობდი, თითქოს ვიყავ,
რაღაც გადარბენაზეო,
ერთად ზურგი შემაქციეთ,
შენ-მთვარევ და შენა-მზეო!



ქარს გავატან...

ქარს გამოვატან მე შენსკენ,
ჩემს კვნესას, ნაზავს შხამითა.
და ცრემლებს მოუმორებელს.
მე რომ მდის დღით და ღამითა.

სიამის კოშკი დამენგრა,
თურმე ნაშენი ლამითა.
მთელი ცხოვრება მოვისპე,
ერთი უგვანი წამითა.

ან კოშკი რაღად გვინდოდა,
გვქონოდა ერთი კარავი.
და სიყვარული ერთ-ურთის,
მყარი და გაუბზარავი.

ანდა ფეხშიშველებს გვეარა,
ყვავილით ნაქარგ მდელოში.
გვეზარდა ჩვენი მარიკა,
საფიცარ საქართველოში.

იმ წყეულ ღამეს ჩვენ სახლში,
იყო ავსულის სტუმრობა.
რომლის კარნახით დავიწყე,
მაიმ-უნობა, ხუმრობა.

ახლა საკანში ვტრიალებ,
კედლებს თავს ვახლი ვაცივით.
ტყვიავ, რა ჰქენი, სად წახველ,
ჩემს გულში რად არ გაცივდი?

გამარჯობა ჭიაყელავ!

გამარჯობა ჭიაყელავ! მე ვარ, ვეღარ მიცანი?
შენ ერთს გელის საშარე და ჩემი კუბოს ფიცარი.

დამაცალე, მოვაგროვო დასამარხი ლოდები,
ერთგული ხარ ჭიაყელავ, ვიცი, რომ მელოდები.

ცოტა კიდევ დამაცადე ჩემი კუბოს მაყარო,
ისე უნდა დავლპე ზევით, პირიც არ დამაკარო.

ჯანსაღს როგორ ჩამოგიტან, ამ ჩემს სხეულს მიწამ
გაოცდები, როს შეძვრები ჩემი კუბოს ფიცარში.

მაგრამ მაინც ჩემი ხარ და თან საოცრად ერთგული
შენი იყოს დაულპობი გატანჯული ეს გული.

თანაც გათბი ჩემი გვამის ფოსფორი რომ იალებს
შეექეცი, რას გაუგებ, ე, მაგ გულის იარებს.

მარიკელას

ქუჩა ნაწვიმარია,
ფოთლებია ფენილი.
სად იჩქარის მარიკა,
ჩემგან ობლად შთენილი?

უკან მისდევს ცუგრია,
არ წყინდება ხტუნება.
შვილო, როგორ მწყურია,
შენი ჩახუტუნება.

მართლა, საით მიდიხარ,
მაგ ფერადი ბუშტებით?
ოი, როგორ მინდიხარ,
მკერდს ვილეწავ მუშტებით.

ბავშვმა დედა არ იცის,
რომ სითბოდ მოჰფენოდა.
ველარ ისმენს მის სიცილს,
მერე რარიგ შვენოდა...

მამა ჯერ ცოცხალია,
მარიკასთვის ლეშია.
ვა, რა დიდი ბრალია,
რომ ცივ სიბნელეშია.

რომ გაგიცნობ ცხადია,
ჩემო თეთრო თოლია,
ვინც კი დანაბადია,
ყველას მამა ჰყოლია.

გაცნობა კი მოხდება,
როს მიხილავ ცხედარად.
მაშინ ალბათ არ იტყვი
- რად მომიკალ დედა, რად?

მაშინ შეგებრალები,
დაბრუნდება ღირსებაც.
ეს ლამაზი თვალები,
ცრემლით ამოივსება.

ციმბირიდან გიყურებ,
მარი, ჩემო ყველაო.
აბარტყუნებს დიდ ყურებს,
შენი ცუგრიკელაო.

ქუჩა ნაწვიმარია,
ფოთლებია ფენილი...
ჰა, ეს ლექსიც, მარიკა,
შენსკენ გამოფრენილი.

სიცხიანის ჰალუცინაციები

ფიქრებს ვხარშავ ჩეფირად,
თავს საქციელით ვუწუნებ.
რაც კი ვიცი, ზეპირად,
ლექსებს ჩემთვის ვბურტყუნებ.

მერე კი ვსვამ ფიქრების
ნახარშ სითხეს, ლორწოვანს.
სული ჯერ არ მიქრების,
სიკვდილს ჯერ არ მოვწონვარ.

მიტევს ავადმყოფობა,
რა დღე არის არ მახსოვს.
ჭერში შავი ობობა,
მაცდურ ბადეს არშად ქსოვს.

ახლა რად მახსენდება,
ნეტა ბადენ-ბადენი.
ღამდება თუ თენდება?
პასუხს ვერ მივაგენი...

რა მაგრად გამომკეტეს,
ციხე. რკინის კარები:
ვუცდი მშველელ-მოკეთეს,
ბედით განამწარები.

მაჯლაჯუნა მეჩვენა,
მელოტლამაზრქიანი.
გახსენ კარი შეჩემა,
დავლპი, დავჭლექიანდი!

ვითვლი წუთებს და წამებს,
ცხელებით და ციებით,
ოი, როგორ მაწამებს,
ჰალუცინაციები...

ფერისცვალება!

რა აღარ ვნახე და განვიცადე,
რამდენი გვემა, ტანჯვა წვალება.
გავთეთრდი, სახე ნაოჭად მექცა,
- ესაა ჩემი ფერისცვალება!

ჭლექმა დაფლითა ჩემი ფილტვები,
ცრემლი იწვიმა ჩემმა თვალებმა.
სიკვდილს ვნატრულობ, ისიც აღარ ჩანს,
- ესაა ჩემი ფერისცვალება!

დღეს მდინარეში ყინვა ჩავარდა,
და შემოდგომას გაუღო კარი.
თბილისში ალბათ გაინავარდა...
ცელქია ჩვენი თბილისის ქარი.

მე კი მთლიანად ყინულად ვიქეცი,
ვერდამვიწყები ჩემი წარსულის;
ცვალება ფერის არაფერია,
საშინელია ცვალება სულის.

ნარზე უაზროდ ყრია ხელები,
(ამათ მოჰქონდათ შენთან იები)
სულში შემძვრალან ღრიანკალები!
ფილტვებს ჰოცნიან შავი ჭიები.

ნარზე უაზროდ ყრია ფეხები,
(გაქცევა სურდათ სიზმრად, წუხელი)
ოცნებებს მშრალი მზერით ვეხები,
და ასკეცდება სულის წუხილი.

ნარზე უაზროდ აგდია ლეში,
(სიკვდილი ელის, ცხენს: ჯანდაკს, ოჩანს)
და ამ გვირაბის უკუნეთ ბნელში,
სინათლის სხივი აღარსად მოჩანს.

დაგეხვრიტეთ!

იმარცვლება ტანჯვის კრიალოსანი,
ასე გავხდი მყრალი ციხის მგოსანი.
მალე ხუთი წელიწადი გახდება,
არ მიხილავს ყვავილი და ფრთოსანი.

არ მინახავს დედაჩემი - საბრალო,
რას გაძიგებ ბადრაგო თუ კაპრალო.
თქვენ მაშინაც თოფის კონდახითა მცემთ,
ოცნებისას ცრემლი რომ ვერ დავმალო.

მესიზმრება ჩვენი კავკასიონი,
მესიზმრება ჩვენი წმინდა სიონი;
და გთხოვთ, ნურვის გაგიკვირდებათ,
...მესიზმრება "დინამოს" სტადიონიც.

დაგეხვრიტეთ! მოვრჩებოდი წამიერ,
მეც სიკვდილი შემიცვლიდა ამ იერს;
დახვრეტის წინ ერთს კი ვიღრიალებდი,
საქართველოვ, იყავ მრავალჟამიერ!



გახსენება

თბილისი. ვერა. ღვინის სარდაფი.

თბილისი. ვერის ძველი უბანი
სარდაფში შესმის გაქვს ჩვეულება?
აქ კაცი ჯდება ერთი თუმანი
ღვინო, არაყი, მჟავეულობა.
გამთენიაზე იკრიბებიან,
ნაკატორღლები, ნახიშტარები.
გულში ტრფიალით,
ხელში ფიალით,
თავში ქარებით.
რას იგონებენ და რას ჰყვებიან,
ფრაზებით ხნავენ წარს-ელს ქვებიანს.
უსმენ ბატარა და გულს ასკდები.
- გახსოვს რომ მოკლეს?
- გახსოვს ბასკები?
ზოგს გაღეღილი მკერდი მოუჩანს,
ზოგს დახეული ლურჯი "ნასკები".
არაყი. მჟავე. მერე წვანილი
მკერდზე ნახატი სოსო სტალინი.
აჰა, გაიძრო ერთმა ხალათი
ბეჭზე ვკითხულობ:
"ქალი ბოზია. უყვარს ფული და
უყვარს ღალატი".
ვარლამა ყვება ათას რამეს,
ცოდნა აქვს დიდი.
- ეს გაუმარჯოს სულ მზიან ღამეს,
დალიე, მიდი!
ყველა უხმოდ სვამს.
ამ ხმელი კაცის

ხათრი აქვთ დიდი.
მერე ვარლამა სარდაფის წინ გაიმოტება,
"ჩემს თამროს ასე დაველოდები"
დაბადებულან ვინც კი ლოთებად,
სულ იქნებიან ალბათ ლოთები!
პატარა ბიჭი, გია ფერაძე,
პირველ ნაბიჯებს ადგამს ვერაზე.
ლოთ ვარლამაზე კი გუშინ უთხრეს:
- არ მიეკარო, ჭლექიანია, მოკვდება მალე.
ცეცხლი ჩაუქრა ადრე კერაზე,
თამროს ლოდინში იღამებს თვალებს.
არ მიეკარო, შორს დაუდექი,
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე!
უცნაურია ბედისწერა,
მე მახსოვს ვერა...
ლოთი ვარლამა ჭლექის ხველებით.
თავს იკავებდა რომ არ ეტირა,
არაყის ჭიქა მაღლა ეჭირა
ნაკოლკიანი, ყვითელ ხელებით.
ერთხელ ასე თქვა: "ციხეში ყველგან,
გაჭირვებული კაცები სხედან,
ღმერთმა უშველოთ, დაბრუნდნენ სახლში-
ნახონ ცოლ-შვილი და ნახონ დედა!"
ერთხელ ასე თქვა: "ვინც ობოლ-მშიერს,
გაუყოფს ლუკმას, გაუყოფს სარჩოს,
ეს იყოს მისი მრავალჟამიერ",
იმ კაცს სიცოცხლე, მას გაუმარჯოს!
გავიდა დრო და გაშრა ცვარ-ნამი,
გაშრა უღვინოდ ყელი და ხახა.
მოგენატრებათ თუ კი ვარლამი,
სასაფლაოზე, ვერაზე ნახავთ...
თან ჩაიტანა ციებ-ცხელება,
შხამში დამბალი ბნელი წარსული

ნაკატორღალის მწარე ხველება
და უცნაურად ქართული სული.
თბილისი. ვერის ძველი უბანი,
ნაბახუსევის გაქვთ ჩვეულება?
აქ კაცი ჯდება ერთი თუმანი
ღვინო, არაყი. მეავეულობა.
- ამას უცქერდა პატარა გია,
რომელსაც ახლა ტუსაღი ჰქვია,
თუ კი დაბრუნდა ბედის ბორბალით,
მასაც ერქმევა ნაკატორღალი.



ვიღაც!

ვიღაც ისევ ხარშავს ჩეფირს,
ჩაის ორთქლში ფიქრებს ავლებს.
ვიღაც ნატრობს ძალას მეფის,
ვიღაც უხმობს მამათმავლებს.

ვიღაც თავის თავზე ბრაზობს,
ვიღაც "პეტუხს" ათამაშებს.
ვიღაც მარჯვედ ყომარბაზობს,
და ცუცურმად აჯენს შაშებს.

ვიღაც გულში ირტყამს მჯიღებს,
ვიღაც უხმობს უფალს მხსნელად.
ვიღაც შვილის სურათს იღებს.
კოცნის, კოცნის დაუთვლელად.

ერთ, "ვიღაცას" ერქვა გია,
ერთ დროს ბიჭიც იყო კოხტა.
და ვერაფრით გაუგია,
ამ წუმპეში როგორ მოხვდა.

ნატრობს საქართველოს მიწას,
ვერას წარმოიდგენს ნისლში.
ამბობს: "ღმერთო, მომკალ იმ წამს,
ფეხს რომ დავდგამ ჩემს თბილისში".

სულ ხუთი წუთით

თქვენთვის თუ ჩაუკეტიათ,
ვინძეს, ხუთი წლით კარები?
შიგნით, სინესტე, სიცივე,
გულზე ტკივილის ღარები.

ხუთი წლით კარის ჩაკეტვა,
ეს ნიშნავს, ცოცხლად დაგმარხონ,
არც დედამ, არც ძმამ,
არც არვინ,
ძმაკაცებმაც რომ არ გნახონ.

სულ ხუთი წუთით გამიღეთ,
ეს დასაწვავი კარები.
შევხედავ თბილისს, და ვფიცავ,
არსად არ გავიპარები.

ეთიმ გურჯივით მომინდა,
"ღვინო, დუდუკი, ქალები",
მაგრამ, რა ვქნა?: რომ არ მიშვებს,
პატივცემული კარები.

პატივცემულო კარებო!
გთხოვთ, ვინმე, მსჯავრდადებული.
ხალხისგან შეჩვენებული,
და წყალში გადაგდებული.

გთხოვთ ერთი ყარაჰოღელი,
ადრე, ნაქები-ქებული.
რომ იყოთ პატიმრებისთვის
სულ ისე, კარგაღებული.

ღმერთო!
ხელები შემეკრა,
რომლითაც პირჯვარს ვიწერდი,
არ მეგონა რომ ხუთი წლით
ცივ კედლებს გამომიწერდი.

სულ ხუთი წუთით
გამიღეთ ეს დასაწვავი კარები.
შევხედავ თბილისს, ახლობლებს,
ვფიცავ არ გავიპარები.



ნარზე უაზროდ აგდია ლეში,
ვით სანაგვეზე გამტყდარი ბროლი.
და იძირება ყრუ სიბნელეში,
უკანასკნელი მასხარის როლი.

თავში გაჩნდა ჭიანჭვლის ბუდე,
შესუდრული ველ-მინდვრებით.
სიზმრებს ვეღარ აღვესღუდე,
გაჯერებულს ჩემი მკვდრებით.

ნატვრის ხე

ელიოზი ცის გახსნას, გახსოვთ როგორ ელოდა?
მაგრამ ირგვლივ და სულში-უსაშველოდ ბნელოდა.

ელიოზი ოქროს თევზს მღვრიე ტბაში ძებნიდა,
არ ისმოდა მუსიკა ღვთაებრივი ებნიდან.

ვერც ნატვრისთვალს მიაგნო, ეს იყო გულსაკლავი,
ცაზე არ ციმციმებდა მისი ბედის ვარსკვლავი.

მას დემონის კლანჭები ისე მწარედ დაღავდა,
რომ იღბალის ძებნაში სულმთლად შემოაღამდა.

ელიოზი დღეს მე ვარ, ერთ ძაფზე დაკიდული,
ბედმა კი ეს მარგუნა - ციხე და ცხრაკლიტული.

ღმერთმა ყველას შეგარგოთ, თქვენი თბილი ბინები,
მე კი ელიოზივით მალე გავიყინები.

წარმოვიდგინე

წარმოვიდგინე თეატრი... ლოჟა,
სილუეტებით მუქი პარტერი.
ეს თეატრშია... ნადზორის "როჟა"
ეს სცენაზეა... მყრალი კარცერი...

გია თამაშობს პატიმარის როლს,
დაგმანულია ციხის კარები.
დასტირის თავის ულამაზეს ცოლს,
და ისმის ზარი-შესაზარები.

სპექტაკლის შემდეგ მე სახლში წავალ,
გახურებულ შუბლს მივუშვერ წვიმას.
და ამ სპექტაკლის თავგადასავალს,
ვისაც ვიგლოვდი, ვუამბობ იმას...

საუბრები სარკეში

დღე-სამას სამოცდახუთი...
და წელიწადიც გათავდა.
მაგრამ ასე რად მოხუცდი,
ასე რამ დაგაავადა?

ედმონდ დანტესო, ფარია,
არ ჩანან თქვენისთანები...
იმედი გადამწვარია,
როგორც მომკული ყანები.

დღე-სამას სამოცდახუთი,
წელზე მარტყია ქამარით.
აქვეა ფანერის ყუთი,
ერთ მეტრზე გათხრილ სამარით.

და შენ ყოფილო... იმანო...
ვის გია გერქვა სახელად
მოირგე ციხის "კიმანო"
და შესძელ თვალის გახელა.

ციხე უნდა ტიკზე იდგეს,
ლურჯ ტალღებზე ქანაობდეს.
პატიმარი როცა უნდა,
ამ ტალღებში ბანაობდეს.

ანდა ციხე ცაში იდგეს,
და ციხესაც სულ არ ჰგავდეს,
პატიმარი, როგორც ქორი,
მაღლა-მაღლა დაფრინავდეს.

ანდა ციხე სულ არ იყოს,
პატიმარიც არვინ იყოს;
ბედმა არვინ არ დასაჯოს,
მერე რომ არ გაირიყოს.

ზეიკოს!

მაშინ ერთად ვიყავით,
ცაზეც მუდამ მზე იყო;
ჩემო უსათონოესო,
ჩემო კარგო ზეიკო.

მე კიდენა ვშღეროდი:
“თუმანს მოგცემს კოცნაზე,
არის ერთი ზეიკო
ზეიკუნა ბოცვაძე“.

მაგრამ მორჩა, გათავდა
დაილია ზედაშე.
ბედისწერამ გაგვყარა,
დაო, ალბათ მე და შენ.

ყველაფერი “ქაქია“
ამ აზრამდეც მივედი...
კიდევ რომ ვიგრიალოთ,
რაცხა, არ მაქვს იმედი...

ჩემს შვილს ბიძინას!

დღეს ხომ შენი დღეობაა,
ჩემო შვილო ბიძინა!
მამა-გიკას შენზე ფიქრში,
წამით არ დაეძინა.
სიხარულით თუ სიმწრისაგან,
მამამ ცრემლი იდინა,
მხოლოდ შენდა სასიკეთოდ,
ჩემო კარგო ბიძინა!
არ გეგონოს შენმა მამამ,
ცუდი რამ ჩაიდინა,
მე, შემთხვევის მსხვერპლი გავხდი,
შენ, გახსოვდეს ბიძინა!
ალბათ შვილო, ჩემმა მტერმა,
ჩემზე ბევრი იცინა,
ბოლო სიცილს რა სჯობია,
არა შვილო ბიძინა?!
თხილამურებს გაუფრთხილდი,
შეინახე ფეხები,
მოგილოცავ დღეობას და
შვილო, მაგრად გეხვევი!
გამძლე იყავ მუხასავით,
მხტუნავი ვით ჭრიჭინა,
ქვეყნად ჩემზე ბედნიერი,
არ იქნება ბიძინა!

ნანი ბრეგვაძეს!

... თქვენ ახლა მოძღვნილ თაიგულს ყნოსავთ,
სისხლით ამვსებო გულის სარქველთა.
და ფერადოვან მანტიით გმოსავთ,
აღტაცება და ვნება ქართველთა.
ბედნიერი ხართ! და ხართ პირველი...
რაღაც უცნაურ ჰანგთა მთოველი,
თქვენი მსმენი და თქვენი მზირველი
ბედნიერია კაცი, ყოველი.
მიყვარხართ. ყწუხვარ!.. ჩემი საკანი,
თქვენგან უმეტეს - დასაგმობია.
აქ პატიმრების დავის საგანი
ერთი თემაა, ვინ - ვის სჯობია...
და ამ მილეთის ავაზაკებში,
თქვენი მეტოქეც არ ეგულებათ.
თქვენი ტრფიალი გამჯდარა ძვლებში
ვით ჯადო სიტყვა - "თავისუფლება"
თქვენი ღიმილი თვალს არ შორდება,
ფეთქავს "იმ" გიას გამხმარ ფიტულში.
და უუნაზეს, თეთრ აკორდებად,
აღწევთ ციმბირის ყრუ ცხრაკლიტულში.

ბოდიში ყველას!

თბილისში ალბათ სუფევს სიწყნარე,
განსაკუთრებით, ცენტრში, ვერაზე
მოგცილებიათ "რეციდივისტი"
"ქვეყნის ამკლები" გია ფერაძე.

მოგცილებიათ ლოთი, ავყია,
მიეწერება ვისაც მკვლელობა.
ვინ შეირცხვინა ქართველობა და
წმინდათაწმინდა თბილისელობა.

ჰა, გაიხარეთ, ფილტვებში ჭია,
თქვენს ქანდაკებებს ნელ-ნელა კვეთავს.
გული უწვრილებს ძაფზე ჰკიდია,
ჩემდა საკვირველად, რატომღაც ფეთქავს.

მაგრამ მკაცრია წესი ბუნების,
მისთვის ერთია შავი და თეთრი.
სულ მალე ყველა ერთად ვიქნებით,
გაგვასამართლებს მაღალი ღმერთი!

ო! რა მდგრადი გამოდგა,
მწუხარების ტაძარი.
საიდან არ ვეცადე,
ვერაფრით ვერ დავძარი.
დგას უძრავად სხეულში,
თითქოს ჩაკირულია.
ხმა ჩამესმის, "ნუ წვალობთ,
თქვენთვის აკრძალულია"...
მართლაც რა სიმძიმეა,
შიგანი ჩამიწყვიტა,
ბედისწერამ ინება,
ასე გადამიწყვიტა...



"ისევ კარცერი..."

აქეთ ოთხი ნაბიჯია,
იქეთ სამი ნაბიჯი.
ათი კაცი კარცერში ვართ,
სად დაწვები არ იცი.
არის ერთი რია-რია,
ჩაის ხარშვა, "ლომკები"
სალამოთი "პოლზე" ვყრივართ,
ვით ნახმარი "პროპკები".
რისი პური, რა ჰაერი,
მზის სხივია მთავარი.
მზეა ჩვენი იმედების,
და ოცნების ჯავარი.
სულელივით ველოდებით,
როდის მოვა სალამო.
ხის საწოლი ჩამოუშვან,
ჩვენი სულის მალამო.
დაეგდები როგორც გვამი,
გაღვიძებას არც ელი.
ასეთია ტუსაღების,
"დალოცვილი" კარცერი.

გაზაფხული დამდგარა

გაზაფხული დამდგარა,
მესმის ჭექა-ქუხილი.
და რასაკვირველია,
ორმაგდება წუხილი.

ცას, რომელსაც ვერ ვხედავ,
(შუბლით გისოსს ვეხლები)
მალე ლხენით აავსებს,
მერცხლები და მერცხლები.

თუმც, აქ მერცხლებს რა უნდა,
აქ არ ხარობს ყვავილიც...
სივრცეს აკრთობს დროდადრო,
ყვავის გადაჩხავილი.

ყვავის დაყრანტალება,
არის ჩემი საათი.
მზიან-მერცხლებიანი
მარტო ჩვენი ცა არი.

იქნებ კიდევ გიხილო,
ჩემო ტურფა მთა-ველო;
ჩემო ვერავ, მთაწმინდავ,
და ჩემო რუსთაველო.

იქნებ თქვენ მაპატიოთ,
რაც ტანჯვის წარსულია.
თქვენთან ზამთარს რა უნდა,
მანდ სულ გაზაფხულია.

გაღიმებაც ვერ მოასწრო, ტკივილისგან ვერც იყვირა
როგორც თოვლი შემომადნა, ხელში ჩემი ციცქნა.. ირა

ჩემთვის უნდა დაიწყევლოს, აღდგომა და ყველა კვირა
მე მიწაში უნდა ვეგდო, შენ ცოცხლობდე ჩემო...ირა.



ჩემზე კარგად არვინ იცის
ჩემი თავის
განაჩენი.
მთავარია ჩემში ცხოვრობ,
სხვა ჯანდაბას - დანარჩენი.

მთავარია შენზე დარდში,
ვილევი და ნელა ვქრები.
და რაც უფრო ვიტანჯები,
უფრო მეტად მენატრები.

ამ საკანში ერთადა ვართ,
მე და სევდიანი ლანდი.
რისთვის შემიყვარე კარგო,
მე თუ სიკვდილს მოგიტანდი.

მალე შენკენ მქროლავ ქარებს,
სულს გავატან ჩემო ირა.
ჩვენი სიყვარულის გემი,
კლდეს შეასკდა, ჩაიძირა.

ტუსაღი ვარ! სულში ყინავს,
შენს საფლავზე ვარდი ხარობს...
ჩემო ამომშრალო ცრემლო,
ჩემო ამომშრალო წყარო.

ვინ გამიგებს, ვის შევჩივლო,
ამ კედლებს თუ რკინის კარებს.
შენთან წერილს გავატანდი,
რომ მოჩანდეს ცაზე მთვარე.
ნუ შეგაკრთობს მარტოობა,
შენთან მოვალ, მოვალ მალე...

იქნებ კიდევ კვლავ აჟღერდეს,
ბედის ლეიტმოტივი.
იქნებ წელში გავიმართო,
მტრის ჯინაზე შოლტივით.
რაღაც არა მგონია, რომ
რამე გამომივიდეს.
დღეს დავუკრავ, ვინ იცის,
ხვალე რა მომივიდეს.
თუ კვლავ შევცდი, მოესწრებით,
მიმიტანოთ ორმომდე.
იქნებ კიდევ გამოგადგეთ,
ნუ გამრიყავთ ბოლომდე.
დამნაშავე მაინც ვიყო,
სიკვდილს არ ვინანებდი.
ვინმემ მითხრას რომ ვტყუივარ,
და საწამლავს დავლევდი.
არა, ანდერძს მე არ ვტოვებ
და არც სიკვდილს ვაპირებ.
თუ კი ვინმეს წყევლით მოვკვდი,
მაგის დედაც ვატირე!
ღმერთო, მინდა დამიჯერო,
წმინდა სულში მიცქერდე,
თმებო გამიჭაღარავდი,
გულო არ დამიბერდე...

ჩემს მარიკელას!

დონალდები, თოჯინები, ვარდისფერი ბუშტები,
ღამის ფეირვერკები და ანთებული ქუჩები.

განათებულ ქუჩის გულში, მოაბიჯებს მარიკა,
ის ისეთი ლამაზია, ქუჩაში დგას "პანიკა".

ერთი ბიჭი გადმოუხტა, იქ მეორე ღლაბუცობს
მესამე კი შუაში დგას, იგი ქუჩას არ უთმობს.

მარიკა კი მოაბიჯებს, ფერად-ფერად ბუშტებით,
იგერიებს ვიგინდარებს თავის ციცქნა ბუშტებით.

მას ვერავინ დაუდგება, ამ საღამოს ქუჩებში,
სიკეთე და სიხალისე, უკრთის ციცქნა, ტუჩებში.

ბიჭები რომ გადმოუხტნენ, სულ არ შეკრთა პაწია,
ეს კი იყო, დამცინავად წარბი მაღლა ასწია.

ერთ ადგილზე გაქვავდა და მოიღერა მუშტები,
უცებ მოსწყდნენ ადგილიდან, ვარდისფერი ბუშტები.

აიტაცა მაღლა ცაში, მარიკელა პატარა
და ბუშტებმაც ციცქნა გოგო, თბილისს შემოატარა.

ბიჭები კი არ ელოდნენ, გადმოყარეს თვალები
ყველა ერთად იძახოდნენ " მაგას ვენაცვალები".

მარიკა კი მიფრინავდა, ქვევით დარჩნენ ქუჩები.
დაჰხაროდნენ დონალდები, თოჯინები, ბუშტები.

ვარდისფერი იყო ზეცა, ვარდისფერი მარიკა.
და მიწყნარდნენ ის ქუჩები სადაც იდგა "პანიკა".



მარტო ვარ და ასე მარტო,
უბედურად უნდა, ვიყო.
მინდა ყველამ შემაჩვენოს,
და ყველასგან გავირიყო.
არავისთან მაქვს სადავო,
და არავის არ ვემდური.
რა ვქნა გავჩნდი ქვეყანაზე,
ჩემი თავის უბედური.

ბავშვობაში რომ მწყევლიდი,
“ჭირი შენ და ბნედა!“
მაშინ მე ყურს არ ვუგდებდი,
ჩემო ტკბილო დედა!
არაფერი მე არ მინდა,
შენთან ვიყო ნეტავ.
ყოველ ღამე გეფერები,
და სიხმარში გხედავ.
ახლა მართლა დასაწყევლი,
ხომ გაგიხდი დედა!..

"ეჰ, გია, გია..."

"- დავიღალე!, ისევ ჩემი ბრალია!!..
ღირსი ვარ, რომ ვკნესავ გამწარებული...
ამ "პიეროს" მასკით, ასე სახეზე,
ველარ გავძლებ, ნიღაბაფარებული.

მე; სიცილით გულს ვიოხებ ხანდახან,
შთავიგონებ; სიცილს მიაქვს დარდები.
დამრჩა მხოლოდ, კიდევ ერთი ღიმილი,
და მასხარას, ჩამოუშვი ფარდები.

ეგ კარგია, რომ იცინი მასხარავ!
მთავარია ცხოვრებაზე, არ ბრაზობ!
გაიხსენე?! რას ამბობდნენ ზურგს უკან,
შე საწყალო, არლეკინო, ჯამბაზო!

ვერასოდეს ვერ გაიგებთ ჩემს ტკივილს,
მე ხომ ნიღაბს მხოლოდ თქვენთვის ვიცვამდი,
ხარხარებდით, ვერავინ ვერ ხვდებოდით,
რომ მასხრობით, მე თქვენს სევდას ვიცავდი.

იმ საწყალი, მომღიმარი ნიღბის ქვეშ,
გადაღლილი ჩემი სახე ჭკნებოდა.
თქვენ ფიქრობდით - "მხიარული ბიჭია",
მე კი იმ დროს, სულ არ მეცინებოდა.

შემომხედეთ, ჩამომვარდა ნიღაბი,
დაინახეთ ყველამ, ნაღდი "პიერო"!
ხომ დაწყნარდით - "მიდით ეხლა მეძახეთ,
შე მასხარავ, არლეკინო ხნიერო.!"

პეტრო

ჩვენ ვმეგობრობდით ბარაკში ორნი,
მე და კეთილზე კეთილი პეტრო.
ისიც ჩემსავით მსჯავრდადებული
და ისიც კაცი, ჩემსავით... ერთ დროს!

სად არ ატარეს, სად არ აწამეს,
სად არ ტანჯეს და სად არ იგვემა.
ჩუკოტკა, ჩიტა და მაგადანი,
პეტრომ რამდენი შხამი იგემა.

მაინც არ წახდა, არ გაბოროტდა,
არ გამიგია მისი ჩივილი.
სული ჰქონია ცრემლივით წმინდა,
უმანკო ბავშვის მორცხვი ღიმილი.

ყველას უყვარდა მასთან სტუმრობა,
პეტროს მზად ჰქონდა ჩაი, შაქარი.
ეს გარეთ ალბათ არაფერია,
მაგრამ დიდი რამ, ჩვენთან, აქ არი...

ჩუმი ღიმილით უხმოდ ფანტავდა,
უნდო ცხოვრების სიკეთის ხურდას.
სულყველას შველა, ყველას ალერსი,
სულით და გულით ჩემს პეტროს სურდა.

და ერთ დღეს, თითქოს ამ ტიალ ციხის,
თითქოს შეირყა ფუძე და ლიბო.
ექიმმა ყველას გასაგონად თქვა:
"მძიმე ფორმებში პეტროს აქვს კიბო".

მერე დღეები ერთურთს მოება,
ბარაკს ეწვია თოვლის ფანტელი.
სიცხის ალმურში პეტრო იწვოდა,
და ილეოდა, როგორც სანთელი.

პეტრო სუყველამ გადაივიწყა,
რრგორც წვიმის დროს თქმული არაკი.
ჩემს მეტი არვინ არ ნახულობდა,
დაცარიელდა პეტროს ბარაკი.

მე რძე დამქონდა მასთან ყოველდღე,
რძე იყო მარტო პეტროს საჭმელი.
მეტყოდა: "გია ნუ შეწუხდები,
მაინც არ არის ძმაო, საშველი".

თავისუფლების ბედნიერ დღემდე,
პეტროს რჩებოდა რაღაც წამები.
როცა დალაქულ ჭუჭყიან ნარზე
სული დალია ტანჯვა-წამებით.

უკანასკნელი სიტყვები იყო:
"მშვიდობით ჩემო ძამიკო, გია"
მე დავუხუჭე პეტროს თვალები
ცისფერი, როგორც აპრილის ია.

და მე ვტიროდი. უფრო იმიტომ,
თავისუფლებას რომ ვერ ეღირსა.
მე ვიყავ პეტროს ჭირისუფალი,
და არც მრცხვენოდა ჩემი ცრემლისა.

დასაფლავებას ნუღარ იკითხავთ,
საფლავი სიღრმით არც იყო მეტრო.
ნახევრადღია ფანერის ყუთში
ჩადეს... ჩააგდეს მიწაში პეტრო.

მეც, პეტროსავით აქ თუ მოვკვდები,
თბილისს მოგივათ ამის ცნობარი.
ძმებო, ვინც დამრჩით-პეტროსთან ერთად,
თქვით, თქვენი გიას შესანდობარი!

მტრედო, გევედრები

მტრედო, ხატო მშვიდობისა,
შიშით რატომ კრთები?
გევედრები სულ ერთი დღით,
რომ მათხოვო ფრთები.
იმწამსვე გავფრინდები
ცისკენ გავიჭრები.

ვინახულებ მამადავითს და ჩემს გალაკტიონს,
თავზე სამჯერ შემოვუფრენ, ჩემს უწმინდეს სიონს,
ნაპირ-ნაპირ ჩავუყვები ჩემს მტკვარსა და რიონს,
ფრთებმა თუკი არ მიმტყუნა, ვნახავ კავკასიონს.

ხოხბის ქალაქს, დედა თბილისს თუ ვეწვევი ღამით,
და შევატყობ გულის ცემა, რომ ჩერდება წამით...

მარგალიტის მძივებივით, ბრწყინავს ჩირაღდნები,
მტრედო, მტრედო, გევედრები, რომ მათხოვო ფრთები!..



...? რამდენ ხანს!

ძმა მყავს, დედა მყავს, შვილები,
და მეგობრების არმია.
უეცრად უბედურებამ,
ჩემი ცხოვრება არია.

მე ცოლი მყავდა, ლამაზი,
კეთილი იყო ძალიან.
იმ უბედური დღის შემდეგ,
ჩემთვის არავის ცალია.

მეგონა გულს მომეშვება,
და უიმისოდ გავძლებდი,
მაგრამ ამდენი ფიქრისგან,
უკურნებლად, დავჭლექდი.

ბევრი იფიქრებს -"ახია,
მიაკვდა სულში ძაღლიო!"
- როგორც ის სწორი იქნება,
ისე ცხოვრება გალიოს.

არ ვიცი კიდევ რამდენ ხანს,
აქ, გალიაში ვიქნები.
მთავარი ჩემთვის ის არის,
ძმა მყავს, დედა მყავს, შვილები!

ჩემს შვილს, სამანტა სმიტს!

ის ღვიძლი შვილი მგონია ჩემი,
უსათნოესი, ლაღი, სამანტა:
ის არის სული ვარდთა, იათა,
და სურნელება იასამანთა.

სამანტა იგი ხსოვნაში ჩარჩა,
როგორც ლეგენდა და როგორც მითი,
ღვიძლი შვილივით, სულ მეყვარება,
ამერიკელი სამანტა სმიტი.

რას თხოულობდა პატარა გოგო?!
ვარდისფერ ზეცას, სიტყვის უფლებას.
ის თხოულობდა სიცოცხლეს, ღიმილს,
დაჩაგრულების თავისუფლებას.

მან რა იცოდა ბირთვული ომი,
იმას უნდოდა მხოლოდ გართობა,
უნდოდა ყველა რომ შეეკრიბა
ერთიან წრეში, მთელი ბავშვობა.

ცხოვრებას უცებ გამოეთხოვა,
როგორც პატარა, დაღლილი გვრიტი.
მე კი ამაყად ვიტყვი ყოველთვის,
ჩემი შვილია სამანტა სმიტი.

საფლავს ამშვენებს, მთელი მსოფლიოს,
ნაზი ფერები იასამანთა.
ბავშვი არ კვდება, არასდროს, არსად,
და ქანდაკებად იქცა სამანტა!

ისე მომინდი,
რომ სიგიჟემდე,
ერთხელაც მინდა
ხელი შეგახო...
იქნებ საკანში უეცრად მოვკვდე
შენი საფლავიც კი ვეღარ ვნახო.
რა მძიმე არის - ციხის კედლები
და რა ტკბილია თავისუფლება,
სიზმარში ვნახო
ჩემი ტკივილი,
ღმერთო!
მომეცი ამის უფლება.
დავტოვე, ჩემი ბედნიერება
ერთი მცირედი,
გულის უბეში,
რადგან სიცოცხლე ასე მამწარებს
სიზმარი
დამრჩა მხოლოდ ნუგეში.
მინდა რომ ის დღე
მალე გავიდეს,
მინდა რომ
მალე
დავხუჭო თვალი.
და ვნახო სიზმრად
რომ ისევ ისე
ბედნიერი ვართ მე და
ის ქალი...

ცხადში წავიდა ჩემგან ყოველი
ვფიქრობ,
რა მქონდა მე დასაკარგი?!
თვალდახუჭული, ამას მე
ვერ ვგრძნობ,
აი, რითაა სიზმარი
კარგი!
გავიმეორებ, რომ სიგიჟემდე
მე შენი ნახვა მუდამ მწყურია
იქნებ ეს ბოლო
სიზმარი იყოს
ქვეყანა ასე უცნაურია...

წმინდა სანთელი დავანთე შენთვის
რატომღაც ჩემსკენ გადმოიხარა,
და სანთელიდან ღვენთი წვეთ-წვეთად
ჩემი ცრემლივით გადმოიღვარა.
მხოლოდ ღვთისმშობელს, წმინდა მარიამს
ან წმინდა ნინოს თუ შეგადარებ,
დაგროვილ წვეთებს, ცრემლად ნაღვენთებს,
მთელი ცხოვრება ხელით ვატარებ,
ვფიცავ სალოცავს, რომ მოუთმენლად
ისეთ მომენტს და ისეთ დროს ველი,
შენ ხატი იყო და მე მარადჟამს
მუხლმოდრეკილი, შენზე მლოცველი.
ოღონდ ეს არის, ვერ მოვაღწიე
ვერ მოვახერხე შენს წინ დამხობა
შევევედრები მამაზეციერს,
მთელი ცხოვრება ასე მამყოფა.

ილო ფერაძეს
ჩემს ძმას!

ჩვენში მაინც სხვა ძმობაა,
თბილისური, ნამდვილი.
ძმობა თვითონ არის მცნება,
ოღონდ, არა ადვილი.

მე რომ ძმა მყავს, ღმერთმა მოგცეთ,
ყველას ჩემი ძმისთანა,
ძმობა მესმის, ძმობა უნდა
ჩვენ რომ გვაქვს, იმისთანა.

ნეტავ ეხლა ჩამახუტა,
შემახედა მის ელფერს,
ვეტყოდი რომ მირჩევნია,
ყველასა და ყველაფერს!

ბოდიში თუ ჩემ გულისთვის,
მოძრაობა მოგიწევს.
ჩამიხუტებ, მოგეხვევი,
როცა ნახვა მომიწევს.

ის ყველაზე კეთილია,
და ჯიგარი ყველაზე,
მთელს სიცოცხლეს მირჩევნია,
ილო: "სტარში" ფერაძე.

ბიძინას!

ჩემი ცელქი ბიძინა, ყველაზე ძლიერია,
ის ხომ თხილამურების "ტონი ზაილერია".

ჩემი უსაყვარლესი, ცელქი ბიჭი ბიძინა,
გამოჭრილი დედაა, ოდნავ თუ გაიცინა.

თხილამურზე სრიალებს, ტოლს არ უდებს არავის,
სპორტში, მიხვრა-მოხვრაში, დაემგვანა მამამისს!

გისურვებ რომ მსოფლიოს, ყველა პრიზი აიღო,
მთავარია გიყვარდეს, მამიკო და მაიკო.

არასოდეს იკითხო, როგორ იყო? რა იყო?
ვერ გავუგეთ ერთმანეთს, გზაც იმიტომ გაიყო.

ეგ, რაც იყო ბიძინა, ყველა ჭირმა წაიღო,
მთავარია მსოფლიოს, ყველა პრიზი აიღო!

ჩემს შვილს მარიკას!

ეზოში დაჰქრის პატარა,
მარიკა, ცისფერ კაბაში.
კისკისებს გულის წასვლამდე,
სულ არ წყინდება თამაში.

ერთობა, სულ არ აწუხებს,
რომ ეს ცხოვრება რთულია.
ანდა რა იცის მარიკამ,
როგორი უბედურია!

ცოტა რომ წამოიზრდება,
და წიგნებს გადაიკითხავს,
-“ დედა და მამა“ სადა მყავს“?!“
აუცილებლად იკითხავს.

ეჰა, ირყევა ცოდვისგან,
უფალო, მთა და ბარია.
დედა არა ჰყავს მარიკას,
მამაც იმისთვის მკვდარია.

ასეთი ანგელოზისთვის,
უფალო, დიდი მადლობა,
სად, რომელ წიგნში სწერია,
ასეთი უსამართლობა!?

ნეტავ ვინა ხართ ძლიერნი,
მის ტიკტიკს უგდოთ ყურია.
-"მამიკო, ცირკში წავიდეთ,
დედიკო, წყალი მწყურია!"
ვისა გაქვთ მაგის ნერვები,
რომელს გაქვთ მაგის გულია?!

მაგონდები და ცრემლებით,
მევსება თვალის გუგები,
ვაი, რომ ალბათ ვერ გნახავ
მე ისე დავიღუპები.



დედა!
(ბავშურ კილოზე)

კარგი დედა, ნუ ტირიხარ,
ნუ ტირიხარ, რა!
ღიმილი და სიხარული
რატომ ჩაგიქრა.

რა მოხდა რომ პატიმარი
შვილი გყოლია,
პატიმრობა ბავშვობიდან
არ დამყოლია.

ეს ხომ ავი ტრიალია
ჩემი ბედისა.
დედა, შენი ჩახუტება,
აღარ მეღირსა.

ნუ ტირიხარ, გეხვეწები,
ნუ მისერავ გულს.
შენზე უფრო, შენი ნახვა,
შენ შვილს უფრო სურს.

ეს ოხერი დრო გაირბენს,
მალე გნახავ მე.
ნუ ტირიხარ, შემოგევლე,
შენი ჭირიმე.

მოიშორე გულზე დარდი,
ყურს ნუ უგდებ სხვას,
ჩემზე დარდით, გევედრები
ნუ ითეთრებს თმას.

ნუ ტირიხარ, ჩემო დედა,
გეყო ფიქრები.
ძაან მალე, გეფიცები,
ერთად ვიქნებით.

ახლა მივხვდი შენი ფასი,
თუ რა ყოფილა.
დედა-შვილის სიყვარული,
სად გაყოფილა?!

ამიტომაც გამიმაგრდი,
არ მოხუცდე რა?!
რომ გამოვალ ყურში ჩუმად
მინდა რომ გითხრა:

მე შენს მეტი ჩემო დედა,
არვინ მინდა სხვა.
ისე მწარედ ჩაგეხუტო,
ვერაფერი თქვა.

ამიტომ გთხოვ, ასე მწარედ,
ნუ ემდური ბედს.
კარგი დედა, საყვარელო,
ნუ იტირებ მეტს!

მაიაკოვსკი

ჰა, როგორც იქნა ვიხილე,
"კრიტი" სასტიკი წყეული,
ამას რას ხედავს თვალები,
დავდივარ გადარეული.

არავითარი წესები,
არავითარი კანონი,
შესცქერი ყველას სახეებს,
გგონია ყველა დრაკონი.

კარები მიჯახუნება,
ცხვირპირის მტვრევა ნამდვილი,
ვლადიმერია ძმობილი,
"კრიტი" იქ მქონდა ადვილი.

მარიკა

დიდ მწვანე ველზე,
გოგონა მოდის
დიდთვალება და ოქროსთმიანი,
იგი ციცქნაა, სამი წლისაა,
ოქროცურვილი, ზარის ხმიანი.
იმას შეჰხარის ყველა ყვავილი,
გვირილა,
ვარდი,
მიხაკი,
ია.
მას სიხარულით უბრწყინავს სახე
ხოლო თვალები, მოწყენილია.
გოგონა რაღაც სასწაულია,
ვარსკვლავისა და მზისა სადარი,
და ეკითხება ყველა ყვავილებს
-"ჩემი დედიკო,
მამა, სად არი?!"
არვინ ელოდა ასეთ შეკითხვას,
ყვავილებს უცებ ეცვალათ ფერი.
თითქოს გაქვავდა ირგვლივ
ყოველი,
გაშეშდა ირგვლივ სუყველაფერი.
"ლამაზო ვარდო!
სად არის დედა?
რად არ მპასუხობ,
ვერ ვხვდები ნეტავ?!...
მალე, ოთხი წლის გავხდები უკვე,
დედას და მამას,
სიზმრად თუ ვხედავ.

იდგა პატარა და მზეს ფარავდა
იმისი ეშხი და სილამაზე,
-"დედა და მამა თუ კი არ მყავდა
მაშ, როგორ გავჩნდი ამ ქვეყანაზე?!"
-"მინდა ვიცინო, ვიმხიარულო,
ვიცინო მაგრამ, გულში ვტირივარ,
ჩემო ენძელა, ვარდო, გვირილა,
თქვენ ამიხსენით, ვისი შვილი ვარ?"
იქნებ ბუნების,
იქნება ზეცის,
ანდა თვით ღმერთის,
ქალიშვილი ვარ".
მე ეხლა მინდა სითბო, ალერსი,
სიცილი მინდა, მე კი ვტირივარ..."
-"ნუთუ ასეთი ცუდი გოგო ვარ
დედამ და მამამ, ცალკე გაძრიყა?!"
და ყვავილების ზღვაში,
გაოცებული იდგა მარიკა!"



რაც მოხდა, მოხდა, დასრულდა
გული შუაზე გაიყო.
ვინც მიყვარდა ან რაც მსურდა
ყველა მორევმა წაიღო.
რუსთაველის თეატრს მოვწყდი,
როგორც ძუძუს პატარა,
ამერიკა,იტალია,
რა ვთქვა, სად არ მატარა.
შოტლანდია,
საბერძნეთი,
ინგლისი და ვარშავა,
თქვენი გია იმ ქვეყნებში,
აღარასდროს არ ჩავა.

აღარც სცენა,
კულისები,
არც გრიმი და როლები
ყველა ჩემს როლს ნათამაშებს,
ცრემლით ვეამბორები.

ვით ვარსკვლავი მოწყვეტილი,
კოსმიური მარსიდან.
ჩემი თავი მოვისროლე,
"კავკასიის" კასრიდან.

მომიტევეთ თუკი ვინმეს
გაწყენინეთ რაიმე
ბნელსა ვზივარ, ექოდ მესმის
ჩემივ ოხვრა - "ვაიმე".

ცუდს ვერავინ იტყვით რადგან,
ყველა ჩემი ბრალია.
მართლა ხშირად მახსენდებით,
კაცია თუ ქალია.

თუკი ვინმეს არ ვუყვარვარ,
მისცეს დღენი დღეგრძელი.
მათთან ჩემი ყურადღებით,
მეტი ვეღარ შევძელი.

ეხლა გაზეთს ან რადიოს,
დღე და ღამე შევნატრი.
რომ როგორმე მომაგონონ,
ჩემი ძველი თეატრი.

ვიცი აღარ დაბრუნდება, ძველი დრო და მომენტი,
-" რატომ აცდენ, რატომა სვამ"! ვეღარ მეტყვის
რ ო ბ ე რ ტ ი.
ალბათ უკვე ჩაესვენა, ჩემი ფერთა მოლბერტი,
ხომ მოგცილდათ თეატრიდან.
ამ ცხოვრების
ხ ო რ ც მ ე ტ ი.

მე ჩემს სასჯელს ვიხდი გულით, მთელი ჩემი ზრდილობით,
ზოგ-ზოგივით ვერ ვიცხოვრებ, ჩემი "პადხალიმობით".
ბევრი წყალი ჩამოირბენს, ხან მღვრიე, ხან ანკარა.
არც კი ვიცი როდის გნახავთ,
ან გნახავთ და ან არა...

ბედმა ფეხი წამომიდო, როცა ვიყავ თქვენს გვერდში,
ღმერთმა არ ქნას რომელიმე,
რომ ჩავარდეთ,
ჩემს დღეში.

მერე იტყვით: -“ ყოჩაღ გია, რა ნერვები გქონია“!
შეცოდებით, შეგიცოდებთ, გულით?! არა მგონია!

საბოლოო თხოვნა მრჩება,
რომ გამოხვალთ სცენაზე,
თქვენთვის ჩუმად გაიხსენოთ,
ერთი, გია ფერაძე.



ჩემს ილიკოს!

ჩემმა ძმამ ჩემი გულისთვის, რამდენი გზები გალია,
ვერ ვნახე, ვერ ჩავეხუტე, ნუთუ ეს სამართალია.
მე მაშინ მიყვარს ჩემი ძმა, როდესაც არის ნასვამი,
ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო, ჩემს ძმაზე არის ნათქვამი.
რა ჰქნას, რამდენად გაიყოს, რომელი ერთი არჩინოს,
ოჯახი, დედა, ნინიკო, თან გია გადაარჩინოს.
ასეა ჩვენი ცხოვრება, ეგ, ხომ ძმის ნაღდი ყალია.
ჩამოდის, მე ვერ ვნახულობ, ნუთუ ეს სამართალია.
ღმერთმა დალოცოს ოჯახით, ჩემი დედა და ნინიკო,
მიხარია და ვამაყობ, ძმა რომ მყავს გვერდ'ში, ილიკო.



ვილაცისთვის ცუდი ვარ,
ვილაცისთვის კარგი ვარ,
რაღა მნიშვნელობა აქვს
მე კი აღარ ვარგივარ.
როგორც ძველი ტომარა,
ზუსტად ისე ვაგდივარ.

ამიტანა წერამ,
ლექსის არა,
ბედის,
თუ მიშველის ისევ, ალბათ ლოცვა დედის!



ერთხელ მახსოვს, მწუხრის ქარმა, ჩემსკენ როგორ დაბერა.
ციხეში ვარ ათი წელი, ბინადა მაქვს "კამერა",
დროა უკვე, სიყვარულის, სურათები დავხიო,
დაუკარით გულის დამწვრის, ბოღმა ამოვანთხიო.
ეგ თვალები არ მასვენებს და მკლავს "ეენზე დარდები,
რომ შემხედო რა დღეში ვარ, წამში შეგიყვარდები.
დაუკარით გულის დამწვრის, გამიფანტეთ ფიქრები,
ღმერთმა იცის ბედნიერი, კიდევ როდის ვიქნები.
ვიცი, ვიცი, გენაცვალე, სადღაც მაინც მოგწონვარ,
ჩემო ღმერთო, ჩემო ხატო, ნუ დამტოვებ ცოდვო ყარ.
დღედაღამე მე გიგალობ, გიმღერებ სატრფიალოს.
დაუკარით გულის დამწვრის, იქნებ კვლავ შემიყვაროს.
ბედმა ფეხი გამომდო, უდროოდ წამაქცია.
უშენობამ ჩემი გული, ფერფლად გადააქცია.
დაუკარით გულის დამწვრის და გაავსეთ ჭიქები
ღმერთმა იცის ბედნიერი კიდევ როდის ვიქნები.



ეს რა სიზმარი ვნახე,
ნაცნობ-უცნობი ერთად.
შენ კი არ ჩანდი არსად,
სადღაც იყავი კენტად.
ვეკითხებოდი ყველას,
და ვტრიალებდი ხალხში.
შენ რომ არ ჩანდი მათში,
ეგ ფიქრი მქონდა თავში.
ცხადში ხომ, თავისთავად,
ვერაფრის თქმას ვერ ვბედავ.
ასე უბედო რა ვარ,
სიზმრადაც კი ვერ გხედავ...
თვალწინ დამიდგა, ეკა,
ზურა, დათუნა, გოგი,
იქ ახლობლები იყვნენ,
მტრებიც ერია ზოგი.
გავიფიქრე რომ სახელს,
მე შენსას ვინმეს ვკითხავ,
რომ მეპოვნე და მარად,
ჩემს გვერდით ყოფილიყავ.
მახსენდებოდა დილით,
ეს რა სიზმარი ვნახე.
ნაცნობ-უცნობი ყველა,
შენ ერთი ვერსად გნახე.
თვალწინ მიდგება სახე,
გულზე მაწვება ლოდი.
ერთი თხოვნა მაქვს შენთან:
სიზმარში მაინც მოდი.
რომ ამის შემდეგ მეტი,
აღარ გავტეხო ღამე.
შენ ერთი მოდი სიზმრად,
არავინ მჭირდება სხვა მე.
რომც არ გიყვარდე, მოდი,
და მოიგონე რამე...

მენატრება სცენის მტვერი,
რაღაც დიდი დოზით, ჭარბად.
თუ ციხიდან გამოვძვერი,
ჩავისუნთქავ ისევ ხარბად.

ჩუმად შემოვიპარები
რადგან ჩემებრ "დამნაშავეს"
დაკეტილი აქვს კარები
და დავკოცნი მტვრიან ფარდებს
კულისებს, სკამებს, თოკებს,
ძველ ლარნაკის გამხმარ ვარდებს.
ღმერთო, რაღა დამაოკებს

მერე გავალ სცენის გულში
რაღაც გრძნობის გასახარად
ბედნიერი იმ წარსულში
უბედური აწ და მარად.

ირინას!

“ადამიანი მეორდებაო“
მეცნიერები მსჯელობენ ასე.
მე არ მჯეროდა, მაგრამ ეს ფრაზა,
მოულოდნელად დღეს დავაფასე.
ვნახე ჟურნალი სულ ძველის-ძველი,
და საოცრება!.. შენი სურათი!
გაცინებული, სიცოცხლით სავსე,
თვალში ცეცხლით და ხელში სურათი.
ო, ეგ სიცილი, ეგ ბაგე-კბილი,
შენი მანერა და შემართება.
ციხის ქვის კედელს შუბლით ვასკდები,
ხომ არ ვგიჟდები... რა მემართება...
ეს ჟურნალი და ძველი სურათი,
მჯერა, იქნება ამის თავმდები.
რომ სიყვარულო, ჩემო - ირინა,
შენ ისევ ისევ დაიბადები.

რამდენჯერ წვერი მოვუშვი
შემემთხვა უბედურება,
პირველად მამა მომიკვდა,
თითქოს დამწყევლა ბუნებამ.
მეორედ წვერი მოვუშვი,
ფილმში მიღებდნენ, მჭიროდა...
ცოლი ხელებში ჩამაკვდა,
მაღლით ბუნება ტიროდა.
თურმე მართალი ყოფილა
თუ შეგიძულა ბუნებამ,
ვერა, ვერ დაემალები,
თან დაგდევს უბედურება.

განატრულობ დედა, როგორც არასდროს,
ცუდათ ვარ, სული მიჭირავს კბილით.
როგორ აგავსე წუხილით, სევდით,
მე ჩაგამწარე სიბერე ტკბილი.
იქნება ღამე შემოიპარო,
და გახსნა ჩემი რკინის კარები.
გთხოვ, გამიყვანო ერთი საათით,
და ჩამეხუტო - გემუდარები.
მე თუ შევძელი კარის გატეხვა,
პირველად შენთან მოვირბენ დედა.
მინდა მოგიხსნა გულზე ტკივილი,
ჩემი ლოდინის დარდი და სევდა.
ვინატრებ ფერფლად რომ გადამექცეს,
ეს გასახმობი ჩემი ხელები.
ვილოცებ ხატზე, სანამ ერთხელაც
გემრიელად არ მოგეფერები.

ღმერთო ვინა ვარ მითხარი?!
რით ვსუნთქავ, გამაგებინე!
თუ ტანჯვის ტვირთი ამკიდე,
ბოლომდე წამაღებინე.
ასეთი რა დაგიშავე,
უბედური რომ გამხადე,
ღმერთო, სულ ტყვილა გარჯილხარ
თუ სატანჯველად დამბადე.
სიბერე მომსდევს კვალდაკვალ,
სულ ცოტაც და დამეწევა,
ნეტავ ამდენი ნაღველი,
რომელ ერთ გულში ეტევა...
სულის ამოთქმა მაცალე,
შემარგე ჩემი ჭაღარა.
ხედავ რომ ბედმა ტიალმა,
ისედაც არ გამახარა.
ერთი თხოვნა მაქვს პირადი,
ცოტა ხანს გამაძლებინო
ეს ტვირთი შემიმსუბუქო,
ბოლომდე წამაღებინო.
გადამიწყვიტე როგორც გსურს,
ჩემი სათქმელი გითხარი.
რით ვსუნთქავ, რითი ვარსებობ,
ღმერთო, ვინა ვარ მითხარი?!

ნუ მომიხურავ სარკმელს
ჩემს გაცივებას ნაღვლობ?!
მხოლოდ ჰაერი მშველის
როცა რამეზე ვდარდობ.
მინდა ვისუნთქო კიდევ,
რასაც ჟანგბადი ჰქვია,
და როგორც ჩემი გული,
სარკმელიც იყოს ღია.
მეტი როგორღა გთხოვო,
ნუ მომიხურავ სარკმელს.
ჰაერი შველის ლექსებს,
და იმ ლექსებში სათქმელს.
ჰაერითა და ლექსით,
მე, დღეს-დღეობით ვსუნთქავ.
აი, რისთვის გთხოვ კარგო,
სარკმელს ნუ მომიხურავ.
ნუ შეშინდები, წერე,
რასაც სიმართლე ჰქვია,
მაშინ გექნება გული
შენს სარკმელივით ღია.



მონატრება

ეხლა სადმე სოფელში,
ბუხრის პირას მაგიდა.
და სუფრაზე გაშლილი
სულო გულო რა გინდა...
მკლავის დაკაპიწება,
და თამადის "წავიდა!"
ჭიქას მოსდევს ყანწები,
სმაა კოკისპირული.
ნიორწყალში ქათამი,
გემივით ჩაძირული.
მაშინ რაღა მომაწყენს,
რის სევდა ან ნაღველი.
სართულებად მაგიდა,
ღვინო თავზე საღვრელი.
როცა შეზარხოშდები,
და თბილად რომ იქნები.
ყველა დაგავიწყდება,
ცუდი რაც გაქვს ფიქრები.
სოფელს თავის პეწი აქვს,
თავის პეიზაჟები.
არ მგონია თუ კიდევ,
მე სუფრასთან დავჯდები.
წელში გამოყვანილი,
ჭიქა, ღვინო-მანავი,
მინდა ისე გამოვთვრე,
ვერ ავწიო ხვალ თავი.

ქართულ სუფრის ჭირიმე,
ბუხრის პირას მაგიდა...
ტკბილი "მრავალჟამიერ"
ზეცისაკენ წავიდა...
და მღერიან ლომები,
გოგია და ზაური.
რა ძვირფასი წამია,
მართლაც რა უცნაური.
...უცებ ცისკენ გაფრინდნენ,
მწვადები და დედლები.
დარჩა მქრალი დილეგი,
დარჩა, ციხის კედლები.

დრო მოდის, მოდის ამბობენ
მოდის და აღარ მოვიდა.
დავიღალე თუ დავბერდი,
არ ვიცი რა მომივიდა...
ამდენი ხანი სად არის,
რომ აღარა სჩანს წყეული.
გულსაც ჰგონია რომ მოვა,
კანკალებს მთელი სხეული.
როდემდე ვიყო ხაფანგში,
თაგვივით გამომწყვდეული,
იქნება შუბლზე მეწერა,
რომ უნდა ვიყო ეული.
ქრისტიანებო სადა ხართ?!
ვინმემ გამიღეთ კარები
ნუთუ შეგზიზღდით სუყველას,
ახლოს რომ არ მეკარებით.
დრო, დრო მოდისო, ამბობენ,
როდისღა მოვა, ვერ ვხვდები.
მას როგორც მაყარს ქორწილში,
ისე, გულღიად შევხვდები.
მაგრამ სანამდის ის მოვა,
მე საგიჟეთში მოვხვდები.
ბედისწერა მაქვს ისეთი,
ის მოვა, მე კი მოვკვდები.

დღეს აპრილის ექვსია...

დღეს აპრილის ექვსია,
მაგრამ თოვლი მაინც დევს.
რაც მე დამიკვნესია,
რა საწყაო დაიტევს?

დღეს ექვსია აპრილის,
"პრიმა" ჩადნა კბილებში.
სული დაშნით დაჭრილი
ფოფხავს გვამის დილეგში.

ხო, აპრილის ექვსია,
არ ჩანს სხივი მთვარისა.
ეს ციმბირის წესია,
ამ დაწყევლილ მხარისა.

ფიქრებს ისე ვიცილებ,
როგორც კოღოს ყულევის.
გარეთ ატანს სიცივე,
ძვლების, ნამარხულევის.

იგვიანებ წერილო...
ყველას გადავავიწყდი.
გულო, გადასერილო,
დღემდე რად არ დამიწდი?

...დღეს აპრილის ექვსია,
ვერ კი მათბობს საბანი.
აჰა, ეს თუ ლექსია,
მლაშე ცრემლით ნაბანი.

19 მარტი. ორშაბათი

ხუთი წლის უკან...
ხუთი წლის უკან...
ერთად ვიყავით ჩემო ირინა,
ამ დაწყევლილ დღეს, სწორედ ორშაბათს
ჩვენ შავმა კატამ გადაგვირბინა.
ისე გავიდა ეს ხუთი წელი,
თითქოს გავიდა ცხოვრება მთელი.
ვერ გივიწყებ და თუ გინდ მომკალი,
რა ძალა გქონდა ასეთი მწველი.
ხუთი წლის უკან...
ხუთი წლის უკან...
რა ბედნიერი ვიყავით არა?
ამ დაწყევლილ დღეს, თანაც ორშაბათს
დამტოვე მარტო ჩემო პატარა.
როგორ მიყვარხარ ღმერთს გეფიცები
მე უნდა მომკლას შენზე ფიქრებმა,
ასე იყო და ასეა დღესაც
კუბოს კარამდე ასე იქნება.
ხუთი წლის უკან...
ხუთი წლის უკან...
არ დავიწყების რეკენ ზარები
შენზე მგლოვარე კვდება ფერაძე
ღმერთისგანაც კი შენაზარები.



ჩემს გუგუკის!
(ჯემალ თოფურიძის დედას)

დაგბერდი ჩემო იგივე, ჩემო დედიკო გუგული,
ფილტვებიც აღარ მივარგა, სული მაქვს გადაბუგული
ჩემი ჯემალის მოთხრობებს,
ვაქცევ სულ ყველას ლექსებად,
დაბეჭდვით თუ არ დაბეჭდეს,
ახლობლებს მაინც გვექნება.
დედიკო! რომ დაგიძახე, ქუჩაში გახსოვს ის ხანა?
ნაცნობი ქალი გაგიუდა "აგია შენი ბაღანა?!
ამ სტროფებს ვწერ და გულით კი,
მდუღარე ცრემლით ვტირივარ
გინდა ასე სთქვი, გინდ ისე, იგივე შენი შვილი ვარ.
მე კი ვცოცხლობ და ვარსებობ,
ხომ ხედავ ბედმა რა მიყო?!
იმ დღეს დავხუჭო თვალები, ჯემალი რომ დავივიწყო.
გამოსვლა თუ კი მეღირსა, სიკეთეს დიდი გული აქვს,
ჩემს ნოდარიკოს ჩავიკრავ, ასე მოვივლით დუნიას.
ჩემი ძმის ჯემოს სახელზე, სულ უკრავს სევდის დუდუკი,
მიყვარხარ ჩემო დედიკო, ჩემთვის ყოველთვის გუგუკი.

(იუმორესკა)

"კინოკომეტრაგედია" ანუ
"ტრაგიკომეკინოდია".
კადრი სამოცდათექვსმეტი,
დუბლი პირველი "ტკაც".
"მოტორი", ისმის ბრძანება
და კადრში ვხედავთ კაცს.
შემორბის გამწარებული,
ცეცხლი აქვს წაკიდებული,
- "სტოპ"! დაიძახეს,
- "რა მოხდა"?
- "ლენტია დამთავრებული".
მივარდა ხალხი აპარატს
ლენტის გამოცვლა დაიწყეს.
"არტისტი" ამ დროს ვის ახსოვს,
გინდაც ნახშირად გადიქცეს.
იმ კაცმა უცებ სიმწრისგან
- "წყალი" იყვირა "სასწრაფოდ"!!!
- "წყალი სასმელად არა გვაქვს,
გამოუძახეთ სახანძროს!"
როცა სახანძრო მოვიდა,
იკითხეს საქმე რაშია?!
ვერ ხედავთ, მთავარი გმირი,
ცეცხლმოკიდებულ ალშია.
აღფრთოვანება შევნიშნეთ
ყველამ მეხანძრის ხმაშია;
- "ეს კინოს ხალხი მაგიჟებთ,
აქ საქმე გაბნა წყალშია,
ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს,
შემოქმედება წვაშია"...
ისევ თავიდან იწყება -
დუბლი მეორე "ტკაც"
უკვე კადრს გარეთ ვხედავდით
ნახშირად ქცეულ კაცს.



ჩემს პატარა მარიკელას!

ჩემს პატარა მარიკელას,
კაბა როგორ უხდება.
ლოცვად მისად წმინდა წყარო,
ცრემლად აჩუხჩუხდება.
მზე თვალს ნაბავს, ეფერება,
მზე ხომ მისი დედაა.
მარიკელაც მზის სხივს კოცნის,
იცის, დედისერთაა.
ასეთს ვინ არ შეიყვარებს,
კეთილს და თავაზიანს,
როგორც შველი ისე დარბის
ღმერთო - რა ლამაზია.
ზეცას შევთხოვ, მზის ქვეშეთში,
უდარდელად გატარა.
მარიკელა, სევდავ ჩემო,
მარიკელა - პატარა!

დიალოგი საკუთარ თავთან

სიკვდილს მერეც მოასწრებ,
გულზე ხელებს ნუ იკრეფ.
დასძლევ მაგ შენ სიბერეს,
რამეს თუ მოიფიქრებ.
მაშინ რაღას დამდგარხარ,
უნდა რამე იღონო.
შენი წლების მალამო,
თვით უნდა მოიგონო.
სულ იფიქრე დღე და ღამ,
წვიმაა თუ ავდარი.
თორემ დაგხრავს სიბერე,
ვით, თავის მსხვერპლს აფთარი.
შენ არ გელის ცხოვრება,
სიყვარულით გამთბარი.
აღარ გაზაფხულდება,
სულში გიდგას ზამთარი.
დროა უკვე დამშვიდდე,
დაიშუშო იარა.
ისვი გულზე მალამო,
თუ კი გადაგიარა...
მერე სთქვი: რომ, კაცი ვარ,
ქუდიც მე მხურებია,
გული ყინვად ქცეული,
თუ კი შეგხურებია...
ჩათვალე რომ გაძელი,
ეს ცხოვრება შენია,
რადგან თავი მოთოკე,

გულიც აღარ გტკენია.
ორი ღერი შავი თმა,
ისევ შემოგრჩენია.
ალბათ კიდევ ორი წლის,
წამება დაგრჩენია.
მალე ის ორი ღერიც,
ჰა და, გათეთრდებიან,
ტანჯვა, სევდა, წამება,
ერთად მოძეშვებიან.
ვიცი მალე მოვკვდები
ჩემს მარიკას ვფიცავარ
მერე ყველა გაიგებთ
რაცა ვარ და ვინცა ვარ.

უკვე სამი ივლისია,
და ბაქოსკენ მივდივართ.
მიკლუხო შაკლაი ვარ თუ
ბოლო-ბოლო ვინ ვგდივარ?!
ხან პაკროვში თავს მიკრავენ,
ხან მივყავარ "შუშაში"
ჩემს ზარებზე არასოდეს
არ ამოდის "დუშაში"
მერე ვნახოთ საით წავალ
სად მიკრავენ ბედკრულ თავს,
ერთ დღეს ვიცი, ერთი ბიჭი,
ნამდვილად თავს მოიკლავს.
დღე მოვა და ჩვენი გია
ჩაუყვება ნაპირებს,
სადაც ყველა დატანჯული
თავის მოკვლას აპირებს.
გადმოიღეთ შაკაროვი,
მომიშვირეთ კეფაში.
ვიცი, რომ დავიმსახურე,
ეგ სიკეთის კრეფაში.
მე ყველაფრის ღირსი გავხდი,
თუნდ ნაჯახით გაპობის.
ოღონდ არა, ასე უღვთოდ
ნელა-ნელა დალპობის.

კიდევ კაი ქკუაზე ვარ,
კუდით ქვას რომ არ ვისვრი.
ბედო, საით გადამაგდებ,
ბედო, საით გადამისვრი.

ღმერთო ჩემო, დიდებულო,
რა ვარსკვლავზე დამბადე.
ბედო, ჩემო, უბადრუკო,
ქვეყნის მასხრად გამხადე.

რა მომელის მომავალში,
კიდევ კარგად არ ვიცი,
გელოდები, ვდგევარ სტარტზე,
გიცდი საით გადამისვრი.

როცა გავჩნდი ქვეყანაზე,
ქვა დამკიდეს გიშერის.
მითხრეს თვალი არ გეცემა,
ეს შავი ქვა გიშველის.

ამ დაწყევლილ ჩემს ბედ-იღბალს,
ქვა უშველის გგონიათ?
"ვაი შენ და შავი ქვაო"
ჩემთვის მოუგონიათ.
ამოვიღე საკუბოვე
კოსტუმი და ჩავიცვი.
მომავლისთვის ვემზადები,
რა მომელის არ ვიცი...

ნანა შარაშიძეს
ბიჭი ჭელიძეს - დათუნას!

ლისტი, ვაგნერი, ბახი, შოპენი,
თქვენი ოჯახის შემამკობელი.
შემამკობელი ჩვენი სულისა,
მოგონებაა დღეს წარსულისა.
რა სიმღერები, ჩემო დაიკო...
რა მოფერება - პატიოსანი.
ეჰ, ჩვენი გზებიც როგორ დაიყო,
და როგორ გავხდი ციხის მგოსანი.
გიგონებთ, გმადლობთ, და მენატრება,
ღვინო და სითბო თქვენი სახლისა.
ციხეში სული ნელ-ნელა ქრება...
სულმა, ამ სულმა მოგინაკლისათ.

გ-ს ...

ხშირად მიჰყვები ფიქრის ქარავანს,
უცნაურ ბედის ზღვაში მცურავი.
ნუ შეგედრება კაცობით, ძმობით,
და სამართალით - ქვეყნად ნურავინ.
შენ არაფერი არ მოგიპარავს,
კაცურ-კაცობის გახურავს ქუდი.
სამართალს ადგენ, ტყვილ-მართალს არჩევ,
კანონიერი შენა ხარ ქურდი!
ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ბავშვობაში,
წიგნი გიყვარდა და სწავლა გსურდა.
მაგრამ ცხოვრებამ ისე გატარა,
თვითონ გაგხადა "რამკიან" ქურდად.
სადაც შენა ხარ, ვინ იტყვის ზედმეტს,
ერთი შეხედვით აწყნარებ ყველას;
სუყველა შენგან მოელის სითბოს,
შენგან მოელის სუყველა შველას.
კამჩატკაც იცი და ვლადიმირიც,
მაგადანიც და ყველა "კრიტები".
როგორ გიხდება უფროსო კაცო,
მყრალი "პრიმა" და თლილი თითები.
შენი ადგილიც ალბათ იქ იყო,
სადაც მიდიან ბანტით, ფრაკებით.
სადაც ბანოვანთ გულებს ჰკოდავენ,
მრავლისტევადი მოკლე ფრაზებით.
ჩემზე ასე თქვი: "სად გაგონილა,
კაცი ვარდს სთესდეს და ეკალს მკიდეს",
რაც შეუთვალე ჩემს მოსამართლეს
და ჩემს პროკურორს - ის მიუვიდეთ!
ახლაც შეგყურებ. შენ როცა ფიქრობ -
ყველანი ფეხის წვერზე დადიან,
შენ გენაცვალე... მართალს და წმინდას,
ასე ჭკვიანს და ასე დარდიანს.

გოგი ხარაბაძეს!

სურო ადის დარაბაზე
ნუმშა ბალი დათოვა
ძმამ, გოგია ხარაბაძემ
გია არ მიატოვა.

მაგრამ გიას ვინ უშველის
მკერდზე ლოდი ჰკიდია
ის სიკეთეს აღარ ელის
თავი გაუყიდია
სუსხავს მზერა ბოროტ გველის
რა ვქნათ, ღმერთი დიდია
აჰა, სიბრძნე ძველის-ძველი
ეს ცხოვრება ფლიდია!

ჩემთან რომ დგას, მაგრძნობინა
მაგრამ ვინ რას მიშველის.
ცივი ციხე მექცა ბინად,
ქვაზე ვწევარ შიშველი.

სურო ადის დარაბაზე,
ხარობს ბალში ენძელა
ჩემს ძმას, გოგი ხარაბაძეს
ჩემი ბედი ეძნელა.

ნანული სარაჯიშვილს!

ჩემი სევდა და ჩემი სინანული,
შენ გესმის უთუოდ, ძვირფასო ნანული.
დე, ყველას ვეგონო, რეგვენი, ახვარი,
ჩამარტყან ზურგს უკან ნალესი ლახვარი.

შენ მუდამ დამიცავ, რადგანაც მიცნობდი.
ჩემს რამდენ სიგიჟეს ღიმილით მითმობდი -
შენ, მუდამ გექნება თვალები სოველი,
მე შენგან სულ სითბოს, სულ ნუგეშს მოველი.

აქედან გამოვალ? ეშმაკმა იცოდეს,
ჭლექი მღრღნის, ხანდახან ფეხზეც ვერ
დავდივარ -
მე მინდა ეს გვამი სულ ცეცხლით იწვოდეს,
ის გია აღარ ვარ, ლანდი ვარ, დარდი ვარ.

აკოცე ვინც ამის - მართლაც რომ ღირსია,
შენს ირგვლივ ის ხალხი ჯერ კიდევ ხომ არი?
არ მინდა მრავალთა გრძნობების ნისია,
არ მინდა მრავალთა ფლიდური თომარი.



ქალბატონ №-ს

თქვენს წერილს მოჰყვა რაღაც უთქმელი,
ხანდახან ცა რომ გამოიმეტებს...
აბა რა გითხრათ... ერთს გეხოვთ, ნუ მეღიით,
ახრი არა აქვს მაგ თქვენს იმედებს.

პასუხს არ მოგწერთ. რა დროს ესაა,
ჩემი ფიქრები ციხეს გარს უვლის.
ჩემი სიცოცხლეც ერთი კვნესაა,
ყინულის ცრემლით შემოქარგული.

მაგრამ ო, გმადლობთ, ქალბატონო №...
არწივის ფრთები ფიქრებს მოება.
თქვენი ბარათი მაინც იმედს მფენს,
წამით მავიწყებს ამაოებას.

მე სიყვარული ფეხით გავსრისე,
(ასე ბრიყვები სთელავენ ვარდებს)
ამიტომ ჩემს თავს აღარ ვაღირსებ,
ვინმეს ვუყვარდე, ვინმე მიყვარდეს.

სულში ჩაიმსხვრა ცრემლების ბროლი,
იმედიც მოკვდა და გადაქარდა.
უკვე დასრულდა პატარა როლი,
სცენას დაემხო მტვრიანი ფარდა.

დასასრული

ალვისაგან გათალეთ ჩემი კუბოს ფიცარი,
ალვა ამკობს ჩემს კავშირს ფერადოვან წარსულთან.
ცხოვრება კი შეეიცან რაც არის და ვინც არის,
მაგრამ რაღა დროსია... კომედია დასრულდა!

რეჟისორი თვით ვიყავ, ასე მსურდა ფინალი,
მსგავსად ჰეროსტრატესი, მეც ხომ დავწვი ტაძარი...
ხომ გახსოვართ ქეიფში, ფეხბურთში მორკინალი?
ხოდა, ფაფუ, გათავდა! ფერფლი ვარ და ნაცარი!

ორი დღეც და შემამკობს, ალბათ შავი არშია,
შავით შეიმოსება ჩემი მწირი სახლობა
თქვენი გია ფერაძე, თქვენთან ბარი-ბარშია.
ეს სიკვდილი მან თვითონ ძალით მოიახლოვა.

ბევრთან შევცდი... სხვა "ბევრი" ჩემთან არის "ჩაჭრილი"
ღმერთმა ყველას შეუნდოს, მეც შემინდეთ ცოდვები.
თქვენთვის დამილოცია ეს მარტი და აპრილი,
კიდევ ორი-სამი დღეც და უთუოდ მოვკვდები.

სულ სიცოცხლე მინდოდა, სიცილი და ხუმრობა,
ბედნიერი ვიყავი მუდამ თქვენთან მყოფელი.
ასე მწარედ დასრულდა ჩემი თქვენთან სტუმრობა,
ასე ცრემლით აივსო ჩემი წუთისოფელი.

რა კარგი ხარ თბილისო, მენანები ძალიან...
ციხეში გნატრულობდი და ამ ნატვრით ვთბებოდი.
მაგრამ ჩემთვის თბილისო, ვიცი, აღარ გცალია...
ერთ დროს როგორ გკოცნიდი, როგორ გეხუტებოდი.

მორჩა ლექსი, თვითონაც სანთელივით მივქრები...
სული თითქოს დაჭრილი, მოფარფატე გედია...
ისევ შენკენ მიხმობენ ეს სნეული ფიქრები,
კომედია დასრულდა?... დასრულდა ტრაგედია!